პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
შაბათი
8
აგვისტო
№ 182
(18124)

ფასი 2 კაპ.



## დამზადების დისციპლინა

ბოლო წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარ ბევრ პოზიტიურ ძვრებს შორის დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მოსახლეობის სურსათით შეუფერხებელი მომარაგების საქმეში წინგადადგმულ ნაბიჯს. ამის მეოხებით იყო, რომ მეათე ხუთწლედში დავამზადეთ დავალებაზე 500 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

ეს წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების მართვის სრულყოფის, შრომის სტიმულირების, საზოგადოებრივ და პირად მეურნეობებს შორის კოოპერაციის მიზნით რესპუბლიკაში განხორციელებულ გაბედულ, საინტერესო ექსპერიმენტებთან; დამზადების ახეთი ერთიანი სისტემის, რიტმულად მომუშავე მექანიზმის შექმნასთან, რომელიც ხელს უწყობს სასურსათო პროგრამის რეალიზაციას.

ამ ახალმა სისტემამ ბევრად განსაზღვრა ისიც, რომ რესპუბლიკამ მეთერთმეტე ხუთწლედში რეკორდულ 1980 წელთან შედარებით მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის ბრძოლის გზაზე მტკიცე სტარტი აიღო.

განვლილ ნახევარწლეულში რესპუბლიკაში შესყიდულია 200 ტონით მეტი პირუტყვი და ფრინველი, 22 მილიონ 200 ათასი ცალით მეტი კვერცხი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების წლის პირველი ნახევრის გეგმები.

დაგეგმილ მიჯნებზე გავიდნენ მეჩაიეები, რომლებიც, სეზონის დამდეგიდან უამინდობით გამოწვეული დიდი ჩამორჩენის მიუხედავად, უკვე 7.114 ტონით უსწრებენ ჩაის ფოთლის კრეფის შარშანდელ ტემპს.

შარშანდელზე უკეთ მიდის ზოგიერთი სახეობის ბოსტნეულის დამზადების საქმე.

მაგრამ ყოველივე ეს დღესდღეობით არ გვაკმაყოფილებს. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია თბილისში საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული რჩევა-დარიგებებისა და მითითებების შესაბამისად საერთო-საკავშირო სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში ჩვენი რესპუბლიკის წვლილის გასადიდებლად.

მილწეულს ვერ დავჯერდებით, მით უმეტეს წლევანდელ ალოობაში, როცა ბუნების ჭირვეულობამ უამრავი პრობლემა გაგვიჩინა და გადასაწყვეტ ამოცანებს მიაპყრო ჩვენი ყურადღება.

ახლა მეტად საჭიროა როგორც მწარმოებელი, ისე მასთან მომხმარებლის დამაკავშირებელი მთელი გულისყურით მოეკიდოს დამზადების დისციპლინის განმტკიცებას. უნდა ალიკვეთოს მავნე ჩვევა, როცა მეურნეობაში გეგმა-დავალებებს ყოფენ „მთავარ" და „მეორეხარისხოვან" ამოცანებად: როცა დამზადების გეგმის შესრულებას ერთი-ორი სახეობის პროდუქციის ხარჯზე აჩერებენ და ივიწყებენ, რომ სუფრაზე ბადრიჯანს ჭარხალი ვერ შეცვლის.

ახეთი ტენდენცია შეიმჩნევა მარნეულის, სამტრედიის, ვანის რაიონების, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობებში, რომლებმაც ბოსტნეულის თესვის გეგმები ასორტიმენტის მიხედვით არ შეასრულეს და ამით შექმნეს იმის წანამძღვრები, რომ რესპუბლიკას ესა თუ ის ბოსტნეული დააკლდეს.

დამამზადებლები, უწინარეს ყოვლისა კი მომხმარებელი დაალატეს დუშეთის რაიონის მჭადიჯვრის საბჭოთა მეურნეობის მეხოტნეებმა. მათ ნათესების მოუვლელობის გამო საგეგმო 3870 ცენტნერის ნაცვლად მხოლოდ 1800 ცენტნერი ნიორი მოიწიეს და სახელმწიფოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 2860 ცენტნერით ნაკლები პროდუქციის მიყიდვას ჰპირდებიან.

აქაოდა, ძირითადი დარგი არ არისო, აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმების შესრულება ჩაშლამდეა მიყვანილი გორის, კასპის, ამბროლაურის რაიონებში.

შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ რძის დამზადების 6 თვის გეგმა ვერ შეასრულა 850-ზე მეტმა მეურნეობამ. მაგალითად ხაშურის რაიონის 8 საზოგადოებრივი მეურნეობიდან მხოლოდ ერთმა შეძლო სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის საგეგმო დავალების რეალიზაცია. დამზადების გეგმების შეუსრულებლობის ეს თავისთავად შეუწყნარებელი ფაქტები, ბოლოს და ბოლოს, იმას მოწმობს, რომ მეურნეობათა ზოგიერთი ხელმძღვანელი გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისადმი.

ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულ ახეთ მოვლენებს მკაცრი შეფასება უნდა მისცენ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, რათა თითოეულმა სოფლის მშრომელმა, თითოეულმა დამამზადებელმა თავისი ამაგი დასდოს სასურსათო პროგრამის შესრულებას.

დამზადების დისციპლინის განმტკიცების ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი უნდა გახდეს სოციალისტური შეჯიბრება. გამარჯვებული მეურნეობების გამოვლენის დროს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ შესრულდა მოსახლეობის მიერ ნამეტი პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები, ამასთან, როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა: საჭიროა გაძლიერდეს მატერიალური სტიმულირების კავშირი საბოლოო შედეგებთან და განსაკუთრებით ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან.

ამ მხრივ რომ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს, ამას მოწმობს ის, რომ პროდუქციის ხარისხისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო წლეულს რესპუბლიკას დამზადების გეგმის შესრულებაში არ ჩაეთვალა 8 ათას ტონაზე მეტი რძე. საქმე კი სულ სხვაგვარად წავიდოდა, მწველავებს რომ ხელფასი არა მარტო წარმოებული პროდუქციის რაოდენობის, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც ეძლეოდეთ.

წლეულს, როცა ჭირნახულისათვის ლაშქრობა არცთუ კარგი ამინდის პირობებში მიმდინარეობს, მთელი სიმწვავით დგება იმის საჭიროება, რომ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი აგროსამრეწველო კომპლექსისა და სასურსათო საქმის ყველა რგოლის ზუსტ ურთიერთმოქმედებას, ამ სიტუაციაში კიდევ უფრო უნდა სრულვყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების პროცესი. დამამზადებლები და მეურნეობათა ხელმძღვანელები მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ პროდუქტების ღირებულების ანაზღაურების ორმხრივი ვალდებულების შესრულებას. შეურიგებლად უნდა ვებრძოლოთ ჩამბარებლებთან ანგარიშსწორების გაჭიანურებას, წამატებებისა და სახელმწიფო სახსრების მითვისების ყოველგვარ გამოვლინებებს. სხვაგან აღარ უნდა განმეორდეს ის, რაც ლაგოდეხში მოხდა, სადაც კოლმეურნეობებმა მთელ თვეს გააჭიანურეს კიტრის ჩამბარებლებისათვის 2 მილიონი მანეთის გაცემა. ამ საქმეში ბრალი მიუძღვით სახელმწიფო ბანკსა და „საქსოფლდამზადების" რაიონულ გაერთიანებასაც.

ყოველივე ზემოთქმული, მეურნეობათა ხელმძღვანელებთან ერთად, სოფლად პროდუქტების დამზადებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნისათვის მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს დამამზადებლებს. მათ ოპერატიული ღონისძიებები უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ მეურნეობები უკეთ მარაგდებოდნენ კონტეინერებით, სამუშაო ყუთებით, მიმღებ პუნქტებში უნდა გააუმჯობესონ პირობები ხილის სახაქონლო დამუშავებისათვის.

თუმცა თვით მეურნეობების ხელმძღვანელებსაც მკაცრად უნდა მოეკითხოთ იმისათვის, რომ დაუდევარი გამოყენებისა და დაცვა-შენახვის გამო დიდძალი ტარა ნადგურდება და ამით ჭირნახულის დაბინავება ფერხდება, მაგალითად, მარნეულის რაიონის არაფლოს და უაჩალანის საბჭოთა მეურნეობებში უკონტროლობისა და უყაირათობის გამო 900 ათასი ცალი ყუთი თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებებით, წლევანდელი ამინდის არახელსაყრელ პირობებში სოფლის ყველა მშრომელი უნდა დარაზმონ იმისათვის, რომ არათუ შევასრულოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმები, არამედ სახელმწიფოს მივყიდოთ ზეგეგმითი პროდუქცია.

ამ ამოცანის რეალიზაციისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ენერგიულად და მიზანდასახულად წარიმართება ადგილებზე მოსავლის აღების, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და შენახვის სამუშაოები. მიწათმოქმედებსა და მეცხოველეებს ახლა დღენიადაგ მხარში უნდა ედგნენ ისინი, ვისაც აწვდის მანქანების სათადარიგო ნაწილებს, საწვავს, არემონტებს ტექნიკას, გადააქვს მოსავალი. ყველას საერთო მიზანი აქვს — ქვეყანა საიმედოდ მოამარაგონ სურსათით და სოფლის მეურნეობის ნედლეულით, ამისათვის ყოველთვის ჰქონდეთ საკმაო რეზერვები.

## ვუმატოთ ტემპს წლის მეორე ნახევარში!

### ქალთა რგოლის ნახელავი

თბილისის „ელექტროგამშვების" ქარხნის საამწყობო საამქროს კოლექტივი ერთ-ერთი საუკეთესოა საწარმოში. ქარხნის წარმოების ეს რგოლი ძირითადად დაკომპლექტებულია ქალებით, რომლებიც მინდობილ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. საამქროს ქვეგანაყოფთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ლ. ცივილაძის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადა. ამ პატარა კოლექტივის წარმატების საფუძველია ურთიერთდახმარება. შრომის ვეტერანები ახალბედა მუშებს ხალისით უზიარებენ გამოცდილებას, ხელს უწყობენ ოსტატობის დახვეწაში.

ბრიგადის კოლექტივი კარგა ხანია სექტემბრის ანგარიშში შრომობს, დღითიდღე აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და ნაწარმის 95–98 პროცენტს ტექნიკურ კონტროლიორებს პირველი წარდგენით აბარებს.

ე. კუდიძე.

### გაუმჯობესდა ხარისხი

ქუთაისი. (საკ. კორ. დ. გედენიძე). ლითოფონის ქარხანაში მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დამდეგისთანავე სოციალისტური შეჯიბრების მაორგანიზებელმა ძალამ სასიკეთო ძვრები მოახდინა. საქმე ის არის, რომ ქარხნის კოლექტივი წლების მანძილზე ძლივს ასრულებდა საწარმოო დავალებებს, ჩამორჩებოდა ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაშიც. და აი, მოხდა გარდატეხა, ქარხნის კოლექტივმა თავი დააღწია სიძნელეებს. მთლიანი პროდუქციის წარმოების მიმდინარე წლის 7 თვის დავალება მელითოფონეებმა 101, 4 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 101,9 პროცენტით შეასრულეს.



„სამტრესტის" ქუთაისის საწარმოო გაერთიანებაში მწყობრში ჩადგა „სახალისო" ღვინის ჩამოსასხმელი ახალი საამქრო. ყოველწლიურად აქ უშვებენ 12 ათას ბოთლ ღვინოს, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ.

გაერთიანება ოცამდე სახეობის პროდუქციას უშვებს. სამარკო, საერო, მოტკბო და შემაგრებული ღვინოები იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და საბჭოეთის ბევრ სხვა ქალაქში.

გაერთიანების კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი ნახევარი წლის გეგმას და ახლაც კარგად მუშაობს. გამოშვებულია ნახევარ მილიონ მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია.

სურათზე: მოწინავე მუშაკი, კომკავშირელი ნათელა კიკვაძე; „სამტრესტის" ქუთაისის საწარმოო გაერთიანების ახალი საამქრო „სახალისოს" უშვებს.

გ. ბირსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## იმრიალონ მუხნარებმა

### ტყეების რესპუბლიკური დათვალიერება

დღეს იწყება ტყეების რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც ორ დღეს გასტანს. მასში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები, მეცნიერები, სპეციალისტები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დათვალიერება ჩვენში უკვე მეოთხედ ეწყობა და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ტყის დაცვისა და გაშენების გაუმჯობესებას, ამ დარგში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ფორმების გამრავალფეროვნებას. ამჯერად სპეციალური სამუშაო კომისიები შეამოწმებენ ტყეების მდგომარეობას, მისი სიმდიდრის გასამრავლებლად მეტყევეების მიერ მიღებულ ზომებს, აგრეთვე ტყეების უკანონო გაჩეხვის და ტყის ხანძრების თავიდან აცილებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელ ხანს ისინი გახშირდა და სახალხო მეურნეობას დიდ ზარალს აყენებს.

ქართველი მეტყევეები ცდილობენ გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა. ახლანდელი დათვალიერება მათთვის მკაცრი გამოცდა იქნება, დაეხმარება მუშაობის ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოვლენაში, მომავლის ამოცანების განსაზღვრაში.

### გეგმის გადამეტებით

რუსთავი. (საკ. კორ. ჯ. ქურხული). ცემენტის ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა 101,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო რეალიზაციისა — 100,8 პროცენტით. აქ გათვალისწინებულზე 2 ათას 150 ტონით მეტი ცემენტი დაამზადეს. ამასთანავე შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. რუსთაველი მეცემენტეები მთლიანი პროდუქციის 80 პროცენტს ხარისხის ნიშნით უშვებენ.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# საზოგადოებრივი აზრი: ვიცოდეთ, ვსწავლობდეთ, ვაპროგნოზებდეთ

საზოგადოებრივი აზრის საბჭო, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე მოქმედებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, გარდაიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ცენტრად. ამავე დროს გაფართოვდა მისი საქმიანობის მასშტაბი და ფუნქციები. ამის შესახებ დადგენილება მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც თავის გადაწყვეტილებაში დასახა რესპუბლიკაში საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, აღრიცხვის, ფორმირებისა და დაპროგნოზების სისტემის შემდგომი სრულყოფის გზები.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, ნათქვამია დადგენილებაში, რომელსაც ახასიათებს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, მშრომელთა შეგნების, კულტურის, ზოგადი და პროფესიული განათლების მაღალი დონე, მათი ფართო ინფორმირება საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებზე, მკვეთრად იზრდება საზოგადოებრივი აზრის როლი დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების, იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის დიდი მნიშვნელობა ხაზგასმით აღინიშნა პარტიის XXV და XXVI ყრილობებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საჭიროება კონსტიტუციურად არის დასაბუთებული ქვეყნის ძირითად კანონში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ფართოდ იყენებს სოციალური ინფორმაციის შეგროვების ტრადიციულ საშუალებებსა და არხებს და, შეგნებული აქვს რა საზოგადოებრივი აზრის პოზიტიური როლი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ გაფართოებასა და მშრომელთა სოციალური აქტიურობის ამაღლებაში, თავის მუშაობაში ეყრდნობა რესპუბლიკის ცხოვრებისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საზოგადოებრივი პოზიციის შესწავლის თანამედროვე სოციოლოგიურ მეთოდებს. აქტიურსა და სასარგებლო როლს ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან 1975 წლიდან მოქმედი საზოგადოებრივი აზრის საბჭო, აგრეთვე სხვა ასეთივე ქვეგანყოფილებები, რომლებიც შექმნილია პარტიის საოლქო, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და ზოგიერთ სხვა საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან.

საბჭოს ორმოცამდე საგეგმო და ოპერატიული გამოკვლევის შედეგები განიხილეს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე, განყოფილებებში გამართულ თათბირებზე, აგრეთვე გამოიყენეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, პარტიულ-სამეურნეო აქტივების კრებებისა და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მომზადებისას, უმნიშვნელოვანესი პარტიულ-პოლიტიკური ორგანიზაციულ-საკადრო გადაწყვეტილებების მიღებისას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა საბჭოს მიერ გაწეული მუშაობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებსა და შრომებში, კერძოდ, ამა წლის 22 მაისს ქალაქ თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას დასახული ახალი და სულ უფრო რთული ამოცანები შესაბამისად მოითხოვს ამ საქმიანობის დონის ამაღლებასაც.

ზუსტი მეცნიერულობა, საზოგადოებრივი აზრის ფიქსაციისაგან მოქალაქეთა საზოგადოებრივი პოზიციის დაპროგნოზებასა და ჩამოყალიბებაზე გადასვლა, დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, იდეოლოგიური დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის — აი, რა მოთხოვნები დგას დღეს საბჭოს წინაშე.

ამიტომ იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო დაიხვეწოს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, აღრიცხვის, ფორმირებისა და დაპროგნოზების სისტემა, განხორციელდეს ერთიანი მეთოდოლოგიური და მეთოდიკური მიდგომა გადასაწყვეტი საკითხებისადმი, უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ყველა სამეცნიერო ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაცია, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭო გარდაიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ცენტრად, ამასთან შესაბამისად გაფართოვდეს მისი საქმიანობის მასშტაბი და ფუნქციები.

გადაწყდა აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეცნიერული ინფორმაციის სექტორში შეიქმნას საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი განყოფილება და დაექვემდებაროს იგი, როგორც სამუშაო ორგანო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ცენტრს.

დადგენილებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა განყოფილებას და საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, მათთან მოქმედ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ქვეგანყოფილებებს, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის კათედრებსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს დაევალათ საჭირო დახმარება აღმოუჩინონ ცენტრს საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში, სათანადო ინფორმაციის შეგროვებასთან, მოსახლეობის გამოკითხვის სამზადისსა და მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ცენტრის ყველა საბაზო სამეცნიერო ორგანიზაციას წინადადება მიეცა გითვალისწინონ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ხუთწლიანი და წლიური გეგმებით საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, დაპროგნოზებისა და ფორმირების თეორიის, მეთოდოლოგიის, მეთოდიკისა და ორგანიზაციის საკითხთა შემუშავება, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიერ დასახული და განხორციელებული ღონისძიებების მიმართ მშრომელთა დამოკიდებულების გამოვლენა.

ამავე დადგენილებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა „დებულება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის შესახებ", რომელიც განსაზღვრავს მის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ფუნქციებს, უფლებებსა და ამოცანებს.

საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრი ყალიბდება საზოგადოებრივ საწყისებზე და აერთიანებს საზოგადოებრივი აზრის ლიდერებს — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის და შეიარაღებული ძალების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის, ადმინისტრაციული ორგანოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს.

საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის საქმიანობის ზოგად ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, ხოლო პერსონალურს — ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში. (საქინფორმი).

## მყიდველის ინტერესებისათვის

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკისა და ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების „გელათის" ხელმძღვანელებს ძალიან სურდათ გაეძვირებინათ მამაკაცის ახალი მოდელის პერანგები, მაგრამ ვერ გამოუვიდათ. ძალიან კი ცდილობდნენ ისინი სიახლე გაუმჯობესებული ხარისხის ნაწარმად გამოეცხადებინათ. საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა შეამცირა მათი ღირებულება როგორც უსაფუძვლოდ მომატებული. მყიდველთა ინტერესების დაცვას კი ხელი შეუწყო აქ შექმნილმა სპეციალურმა საექსპერტო კომისიამ.

ზოგჯერ საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის დამზადების პროგრამებს ადგენენ ფულადი გამოხატულებით და არა რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით. ეს ზოგიერთ საწარმოს საშუალებას აძლევს გამოუშვას „ნაკლები რაოდენობის, უფრო ძვირად ღირებული ნაწარმი. პროდუქციას ფასს უმატებენ, სამომხმარებლო თვისებებს კი არ აუმჯობესებენ. ფასწარმოქმნის სისტემის მუშაკები გაჭირვებით არჩევდნენ ერთმანეთისაგან მსგავს საქონელს. ახლა საექსპერტო კომისია იხილავს, ერთმანეთს ადარებს ყველა ანალოგს და ადგენს, რა არის მათში მართლაც ახალი და სასარგებლო.

როგორი მდგომარეობაა თბილისის საქალაქო საბჭოს ფასების განყოფილებაში, რომლის უფლებამოსილება ძირითადად ვრცელდება კონკრეტულ ნაწარმზე — სამეურნეო და სპორტულ საქონელზე, სათამაშოებსა და ნარჩენებისაგან დამზადებულ პროდუქციაზე?

— ასეთი ნაწარმი ასობით დასახელებას შეადგენს წელიწადში, — ამბობს აღმასკომის ფასების განყოფილების გამგე დ. იაკობაშვილი. — ჩვენ მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, რათა დავიცვათ მყიდველების ინტერესები.

საჭიროების შემთხვევაში შევამციროთ ნაწარმის გაუმართლებლად მაღალი ფასი, რასაც წარმოება მოითხოვს. მოვიყვანთ მაგალითს: თბილისის კლავიშებიანი მუსიკალური საკრავების ფაბრიკამ წარმოებისთვის მოამზადა სათამაშო ცხენი და წარმოადგინა კალკულაცია, რომლის თანახმად ახალი ნაწარმის ფასი 6 მანეთი და 8 კაპიკი უნდა ყოფილიყო. ჩვენ კი განვსაზღვრეთ, რომ სათამაშოს წარმოების საერთო ხარჯები ბევრად უფრო მცირე იყო და ფასი 4 მანეთსა და 90 კაპიკამდე შევამცირეთ. ასე ეღობებათ გზა საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც ცდილობენ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის სტიმულირება ღირებულების გაუმართლებელი გადიდების საშუალებად გამოიყენონ.

მაგრამ ფასწარმოქმნის სისტემის მუშაკთა ფუნქციები ამით არ ამოიწურება. ხშირად ისინი მომხმარებლის ინტერესებისათვის მრეწველობას უკარნახებენ როგორც მისთვის, ისე მყიდველისათვის ხელსაყრელ ახალ სახეობათა ნაწარმს.

...ბევრ თბილისელ ქალს ახსოვს, რომ ელექტროსავარცხლისათვის გაქნილი ხელოსნები ბაზარზე 15-20 მანეთს ითხოვდნენ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფასების განყოფილებამ თბილისის საწარმოო გაერთიანება „სიხარულს" ურჩია აეთვისებინა მათი გამოშვება და ფასად 8 მანეთი დაუწესა. ამის შედეგად მყიდველთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ხოლო სპეკულანტებს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალათ. ასევე მოწესრიგდა კარის თითბრის ანჯამების გამოშვება, რომლებიც მალულად იყიდებოდა.

ა. შარშუნოვი,
საქინფორმის კორ.

## პირუტყვის საკვებს — გულისყური

ამ დღეებში, როცა საკვების დამზადების ბედი წყდება, ხაშურის რაიონის სოფლისა და ქალაქის მშრომელები მინდვრად არიან გასული. წარმატებით მიმდინარეობს სენაჟის ჩადება. დავალებას უკვე თავი გაართვეს ფლევის საბჭოთა მეურნეობის ოსიაურის, სატივეს, სურამისა და სხვა კოლმეურნეობებმა დღეისათვის რაიონში 14 ათას ტონაზე მეტი სენაჟია ჩადებული, დამზადებულია 1.200 ტონა თივა.

ათობით ტონა მწვანე საკვები მიზიდეს მეცხოველეობის ფერმებთან სავაგონო დეპოს, მექანიკური ქარხნის, საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა.

მეტი საკვები ხომ მეტი რძე და ხორცია. რაიონის მეცხოველეებმა ქვეყანას წლის პირველი ნახევრის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება უპატაკეს. სახელმწიფოს მიეყიდა 920 ტონა ხორცი, საგეგმოზე 174 ტონით მეტი, — 2.340 ტონა რძე, საგეგმოზე 300 ტონით მეტი და თითქმის 12 მილიონი ცალი კვერცხი, ორჯერ მეტი გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

## მიფრინავს რვა თანამგზავრი

1981 წლის 6 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-1287", „კოსმოს-1288", „კოსმოს-1289", „კოსმოს-1290", „კოსმოს-1291", „კოსმოს-1292", „კოსმოს-1293", „კოსმოს-1294". რვავე თანამგზავრი ორბიტაზე გაიყვანა ერთმა მატარებელმა რაკეტამ.

თანამგზავრებზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

### ახალი კრებული

მოსკოვში რუსულ ენაზე გამოიცა კრებული „ვ. ი. ლენინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შესახებ", რომელშიც შეტანილია ვ. ი. ლენინის სტატიები, სიტყვები, წერილები და ცალკეული გამონათქვამები, სკკპ დოკუმენტები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებები და გამოსვლები. (საკდესი).

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### თელავის რაიონული გაზეთის „ალაზნის განთიადის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რაიონის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით თელავის რაიონული გაზეთი „ალაზნის განთიადი" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 5 აგვისტო.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ბორჯომის რაიონული გაზეთის „ბორჯომის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რაიონის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ბორჯომის რაიონული გაზეთი „ბორჯომი" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 5 აგვისტო.

## განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებები!

# სიტყვის კორიანტელი კი არა, საქმე!

### ერთი ღია პარტიული კრების ჩანაწერებიდან

**ქება-დიდებას** და გარდამავალ დროშებს ჩვეული ითხვისელი მაღაროელები დარცხვენილნი მოვიდნენ პარტიულ კრებაზე. მიზეზიც აქვთ: ივლისის პირველი რიცხვებიდან, მეთხუთმეტე საწარმოო უბნის გარდა, ყველა შეფერხებით მუშაობს, ვერ იქნა და საქმე ვერ აეწყო. ჯერ იყო და ღია კარიერზე ველის გადახსნა დაგვიანდა, ხოლო შემდეგ ამას სამთო მექანიზმების შეფერხებებიც დაერთო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი შეფერხებები კვლავაც მოსალოდნელია, თუ დროულად არ გადაწყდა ტექნიკის სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფის საკითხი.

პარტიული კრების დღეს ნავსი თითქოს უნდა გატეხილიყო. ამ დღეს ღია კარიერიდან 800 ტონა მანგანუმის მადანი მოიპოვეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდად იმუშავეს მიწისქვეშა საწარმოო უბნებმა და დავალება კვლავ არ შესრულდა.

ივლისის ორ კვირაში მაღაროთსამმართველომ გეგმის შესრულებას 1.669 ტონა სასაქონლო პროდუქცია დააკლო. ასეთი დიდი სიმძლავრის სამთო საწარმოსათვის თითქოს არაფერია ამ დანაკლისის ანაზღაურება, მაგრამ უფრო მეტად ის აწუხებთ, რომ რაღა ახლა მოეცარათ ხელი, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის შესაბამისად მომავალი მუშაობის პერსპექტივები უნდა დაესახათ. ამ პლენუმზე კი ხაზგასმით აღინიშნა: „კვლავაც განვავითაროთ მანგანუმის მოპოვების სიმძლავრენი, ვნერგოთ ღარიბი მანგანუმის მადნის გამოყენების ყველაზე რაციონალური ნამუშევრები“. ეს ამოცანა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებიდან გამომდინარეობს, რომელიც მან საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის ზეიმზე წარმოთქმულ სიტყვაში დაგვისახა...

240-კაციან კომუნისტთა აუდიტორიას თითქმის ამდენივე უპარტიო აქტივისტიც შემოემატა და ღია პარტიულ კრებაზე მართლაც გულახდილი, პრინციპული მსჯელობა გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის შედეგების შესახებ.

კრებას ითხვისელ სამთოელთა გარდა ესწრებოდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის, სამთამადნო კომბინატის და სხვა სამეურნეო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ისინი, ვისაც უშუალო წვლილი მიუძღვის მაღაროთსამმართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტაში. დამსწრეთ პირუთვნელად იმსჯელეს საწარმოს მუშაობის ავ-კარგზე. შეეხნენ საერთო საქალაქო პრობლემებსაც. მაგრამ, სავალალოდ, ზოგიერთი მათგანის სიტყვაში შეიმჩნეოდა თავის მართლების მცდელობაც, მცდარი სუბიექტური მოსაზრებანიც. თუმცა, ამის შესახებ თვით გამომსვლელებს მოვუსმინოთ.

**მაღაროთსამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის პ. კაპანაძის მოხსენებიდან:**

პარტიული კომიტეტის სხდომებზე, საუბნო პარტიული ორგანიზაციებისა თუ ჩვენი შრომითი კოლექტივის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე პრინციპულად ვმსჯელობთ შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაზე, სამთამადნო მრეწველობაში თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვაზე, სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საპრობლემო საკითხებს. პერიოდულად ოპერატიულად ვამოწმებდით მიღებულ დადგენილებათა შესრულებას. ამას წინათ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მოისმინა მაღაროთსამმართველოს დირექტორის რ. ხარშილაძის ანგარიში მშრომელთა მიღების გაუმჯობესების, შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებზე დროული რეაგირების, პარტიულ კრებებზე და საწარმოო თათბირებზე დაყენებული საკითხების რეალიზაციისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. სასიამოვნოა, რომ ბიურომ დადებითად შეაფასა ამ მხრივ გაწეული მუშაობა.

მართალია, ბოლო ორი კვირის განმავლობაში შეფერხებით ვმუშაობთ, მაგრამ საერთოდ ჩვენი საქმე ცუდად არ მიდის. ითხვისელმა სამთოელებმა შესაშური ენერგიით დაიწყეს მეთერთმეტე ხუთწლედი. განვლილ ექვს თვეში დამზადებულია 245.210 ტონა სასაქონლო პროდუქცია, რაც 10.270 ტონით აღემატება საგეგმო დავალებას. ასეთი მაჩვენებლებისათვის დამსახურებული ქების ღირსნი არიან ის საწარმოო უბნები, რომლებსაც ზ. ლაშხი, ჯ. ლაბაძე, რ. ტაბატაძე, ა. გაბიძაშვილი, თ. კაპანაძე და ქ. ხელაძე ხელმძღვანელობენ.

პირუთვნელად უნდა ვთქვათ ისიც, რომ წლის პირველ ნახევარში საერთო აღმავლობას ფეხი ვერ აუწყვეს № 16 და № 18 საწარმოო უბნებმა. მათ მადნის ამოღების გეგმის შესრულებას 9.195 ტონა დააკლეს. ეს კი საკმარისი იყო 1.800 ტონა მაღალხარისხოვანი კონცენტრატის დასამზადებლად, ხოლო ამ შემთხვევაში საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ამ ჩავარდნის გამო უბნის უფროსი ღ. ჩაფიჩაძე გათავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო რ. ყიფშიძე დატოვებულ იქნა პირობით.

წინა ხუთწლედში იშვა თაოსნობა — ხუთი დღის ნორმა — ოთხ დღეში! ამ დევიზით მუშაობა ახლაც გრძელდება და 400 ითხვისელი მაღაროელი პირობას დებს, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებებს ოთხ წელიწადში შესრულებს.

**გ. ბაქრაძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გვირაბგამყვანი:**

მე ოცი წლის წინანდელი ამბავი მინდა გავიხსენო. ითხვისის მაღარო ახალი საწარმო იყო და უჭირდა, გეგმები არ სრულდებოდა. მაშინ მოწინავე საწარმოებიდან კომუნისტები აქ გადმოგვიყვანეს სამუშაოდ. საქმეს ხელი დავატყვეთ, მრავალჯერ გავიმარჯვეთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაღარომ შემდგომში თანამედროვე სამთო მექანიზმებით აღჭურვილი მძლავრი საწარმოს სახელი მოიხვეჭა. ამ სახელს კი მოფრთხილება და შენარჩუნება უნდა.

მე შრომისთვის დაბადებულად მიმაჩნია ჩემი თავი და ვერ ვიტან, რომ ხშირად ვცდები ელექტროსატვირთო მანქანების გაუმართაობის გამო. მრავალი თხოვნის მიუხედავად, არა გვაქვს სათადარიგო ნაწილები.

ჩემი აზრით, არანაკლებ მტკივნეული საკითხია შემცვლელი თაობის აღზრდა. ამ რამდენიმე დღის წინათ დამსახურებულ პენსიაზე გავიდა ცნობილი გვირაბგამყვანი ი. ბირბიჩაძე. კარგი ძალა მოგვაკლდა. ასაკი სხვებსაც გვემატება, შემცვლელები კი... ამას წინათ უბანში მომიყვანეს პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული ორი ახალგაზრდა. შესახედავად, ღმერთმა მოგცეს, კარგები იყვნენ, მაგრამ მუშაობისა — რა მოგახსენოთ. ერთმა ორი დღის შემდეგ მიატოვა საწარმო, მეორეც გულაცრუებულია საქმეზე. თავის დროზე ეს სასწავლებელი დავამთავრე მეც, მაგრამ საქმეს სიყვარულით, გატაცებით ვეკიდებოდი. როგორც ჩანს, კონტინგენტის შერჩევას მეტი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ. ყურადღება უნდა მიექცეს სწავლების პერიოდში პრაქტიკულ შრომითს წრთობას და მერე, ალბათ, უცხო აღარ იქნება მათთვის მიწისქვეშა სანგრევები და ლავები.

მე, როგორც კომუნისტს, კარგად მაქვს შეგნებული ჩემი მოვალეობა. ახლა უკვე მეცამეტე ხუთწლედის ანგარიშში ვშრომობ და 1985 წლისათვის კიდევ ერთ ხუთწლედს შევასრულებ. ეს იქნება ჩემი პასუხი ქართველი ხალხის დიდ ზეიმზე ჩამობრძანებული ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული მითითებების პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

**ზ. ჩიქვილაძე — მაღაროთსამმართველოს სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე:**

რა დასამალია, წარმოებაში საკმაოდ დიდია შრომითი და მატერიალური დანაკარგები. არ გვყოფნის მადნის გამოსაზიდი ვაგონები, ცდება მუშახელი, უყაირათოდ ვეკიდებით დამხმარე მასალებს. ამის საილუსტრაციოდ № 16 საწარმოო უბნის მაგალითიც კმარა. მაისის თვეში აქ 219 კუბური მეტრი ხის სამაგრი მასალა გადახარჯეს, ტონა მადნის ღირებულება მანეთითა და 11 კაპიკით გააძვირეს. ასეთი უყაირათობის შედეგია, რომ მაღაროთსამმართველომ წელს 205.600 მანეთი გადახარჯა.

კომუნისტებმა, სახალხო კონტროლიორებმა მეტი მომჭირნეობა უნდა გამოიჩინონ დამხმარე და ენერგეტიკული რესურსების ხარჯვაში, უნდა დაინერგოს ხის სამაგრი მასალების მეორედ გამოყენება, ლავებში არ უნდა რჩებოდეს მონგრეული მადანი, რაც არცთუ იშვიათად ხდება № 1, 14, 15 საწარმოო უბნებში.

**რ. ხარშილაძე — ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს დირექტორი:**

პარტიული კრების ტრიბუნა თავის მართლების, საკუთარი პასუხისმგებლობის სხვებისათვის დაკისრების და სუბიექტური მოსაზრებების გასავრცელებლად კი არ უნდა გამოვიყენოთ, არამედ პირდაპირ, პრინციპულად უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც ხელს გვიშლის მუშაობაში და კოლექტიურად შევიმუშაოთ მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებები.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ზოგიერთი ამხანაგი, კერძოდ, აქ გამოსული მამდიდრებელი ფაბრიკის გამგე გ. აბრამიშვილი, ეტყობა, სხვანაირად ფიქრობს. მან რეგლამენტი მხოლოდ იმისათვის გამოიყენა, რომ უსაფუძვლოდ ემართლებინა თავი საწარმოში არსებული ჩავარდნებისათვის და სიტყვაც არ დაუძრავს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად დღეს რატომ იყო გაჩერებული ფაბრიკის ტექნოლოგიური დანადგარების ერთი რიგი. საინტერესოა, ვის ელოდებიან? მაინცდამაინც კომბინატის ხელმძღვანელობისა და პარტიის საქალაქო კომიტეტის მითითებებს?

კრება ვერ დააკმაყოფილა მეორე რიგის მაღაროს გამგის ე. ტაბატაძის და დამხმარე ობიექტების საუბნო პარტიული ორგანიზაციის მდივნის ვლ. კაპანაძის გამოსვლებმა. ახლა უკვე დადგა დრო, რომ ასეთი „მოკამათეები“ ტრიბუნას მოვაშოროთ. ენის მოსაქავებლად და ორატორული ხელოვნების დემონსტრაციისათვის ძვირფასი დრო არავის არ უნდა დავაკარგვინოთ.

**ა. ხოზუა — „ჭიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის მთავარი ინჟინერი:**

აქ გამოსულმა ამხანაგებმა ბევრი მოთხოვნა წამოაყენეს. მე ხელთა მაქვს იმ მასალების სია, რომლებიც მაღაროთსამმართველომ წლეულს მიიღო. ვფიქრობ, არაფერი დაგვიკლია, და ახლა ჩვენი მოთხოვნის ჯერიც დადგა.

ახალი ხუთწლედი დიდ ამოცანებს გვიყენებს, საბადო კი, როგორც მოგეხსენებათ, ულევი არ არის, ცალკეული მაღაროების მადნიანი ველები თანდათან ღარიბდება. ამის გამო ყოველ გრამ მანგანუმის მადანს განსაკუთრებული მომჭირნეობით უნდა მოვეკიდოთ. თქვენთან კი ასე არ ხდება. დღეს რამდენიმე მიწისქვეშა უბანი შემოვიარე და ბევრი არასასიამოვნო ფაქტი ვნახე. არის შემთხვევები, როცა მთლიანად არ იწმინდება მონგრეული მადანი, ეს აფერხებს შემდგომი მომზადების ცვლის მუშაობას, იკარგება ძვირფასი წუთები.

მთელი სამთამადნო კომბინატისათვის უპირველესი პრობლემაა მიწისქვეშა ელმავლების დეფიციტი. „14-კრ“ ტიპის ელმავლები, რომლებიც ჩვენს მაღაროებში მუშაობენ, აღარ მზადდება, ხოლო მათ ნაცვლად მიღებული „კ-14“ ელმავლები სრულიად გამოუსადეგარია მანგანუმის წარმოებაში. ორი წელია ვაყენებთ საკითხს მათი რეკონსტრუქციის შესახებ, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს. კრიზისული მდგომარეობა შეგვექმნა, ახალი ითხვისის მაღაროში საჭიროა ყოველდღიურად მუშაობდეს 17 ელმავალი, მაგრამ დღეს მხოლოდ 12 ელმავალი გავიდა ხაზზე. ეს აფერხებს მონგრეული მადნის გამოზიდვას, ამცირებს ვაგონების ბრუნვას. ანალოგიური მდგომარეობაა კომბინატის სხვა მაღაროებშიც. ამ საქმეში მეტად უნდა დაგვეხმაროს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო. არანაკლები მნიშვნელობის პრობლემაა ლითონის მექანიკური სამაგრებით მაღაროების აღჭურვა. იგი უსაფრთხოა ტექნიკური თვალსაზრისით და უდიდეს ეკონომიკურ ეფექტს იძლევა ძვირადღირებული ხის სამაგრი მასალის დაზოგვით. ამ საკითხის მოგვარებაც აღემატება ჩვენს კომპეტენციას და სასურველია ზემდგომი ორგანოების ჩარევა.

**ჯ. გურული — პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი:**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმზე ითქვა, რომ „მკვეთრად უნდა გავაძლიეროთ პარტიული გავლენა ცხოვრების ყველა სფეროზე და, უწინარეს ყოვლისა, ავამაღლოთ სამეურნეო მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე“. ამ დებულების პრიზმით უნდა განვიხილოთ ყოველი საკვანძო საკითხი, ამის საფუძველზე უნდა ვიმსჯელოთ თითოეული კომუნისტის პერსონალურ პასუხისმგებლობაზე.

უპირველეს ამოცანად დავისახეთ იდეოლოგიური და პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობით უზრუნველვყოთ მეთერთმეტე ხუთწლედის დიდი სამეურნეო ამოცანები. ეს ითქვა პარტიულ კრებაზე და ისინი იმ [illegible] კომპლექსური ღონისძიებებიდან გამომდინარეობს, რომლებიც ჭიათურაში საცხოვრებელ ადგილას იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით შევიმუშავეთ.

მეთერთმეტე ხუთწლედი საუკეთესოდ დაიწყეს ჩვენი ქალაქის მშრომელებმა. ექვსი თვის დავალება ყველა საწარმომ შეასრულა, წარმოებული და რეალიზებულია მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. თუმცა ხარვეზები მაინც გვაქვს. ეს უპირველესად ითქმის შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპზე. განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე წარმოებულია ზეგეგმითი პროდუქციის მხოლოდ 41,9 პროცენტი, რაც საგრძნობლად ჩამორჩება საერთო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს. ერთი მხრივ, ამას ობიექტური მიზეზებიც აქვს: ბევრი ჩვენი სამთო საწარმოო უბანი ძველად გამონამუშევარ ველებში ეძებს მანგანუმის მადანს, არ ხერხდება მექანიზმების გამოყენება, მაღალია ხელის შრომის წილი. მდგომარეობის გამოსასწორებლად მალე განხორციელდება ხელის შრომის შემცირების 1981-1985 წლების რესპუბლიკური, მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა, რომლის მიხედვით ხუთწლედში განხორციელდება 26 ღონისძიება და წლიური ეკონომიკური ეფექტი 3.605 ათასი მანეთი იქნება, ხელის შრომისაგან გამოთავისუფლდება 1000 კაცი...

კრება დიდხანს გაგრძელდა. კომუნისტები, უპარტიო მშრომელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მოთხოვნებთან მჭიდრო ურთიერთკავშირით განიხილავდნენ მშობლიურ საწარმოში არსებულ მდგომარეობას, მათი გათვალისწინებით სახავდნენ მდგომარეობის გამოსწორების გზებსა და საშუალებებს.

და სწორედ პარტიულ კრებაზე წამოყენებული საქმიანი მოსაზრებების გათვალისწინებით იქნა შემუშავებული ღონისძიებათა პროგრამა, რომლის რეალიზაციისათვის ბრძოლა ახლა ყველა სამთოელი კომუნისტის უპირველესი მოვალეობაა.

**ო. ნიქაბაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

---

*მოსაზრებები, წინადადებები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ*

# სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ხვალინდელი დღე

### დიალოგი მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში

**სოფელ** დიღმის შემართზე, ხელმარცხნივ, დგას ერთი დიდი თანამედროვე შენობა. აქ მოთავსებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. იგი კონსტანტინე ამირეჯიბის სახელობისაა, იმ კაცისა, რომელიც ჩვენში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მამამთავრად ითვლება. მისი აღზრდილები დღეს ინსტიტუტსა და ცალკეულ ლაბორატორიებს ხელმძღვანელობენ. ისინი კონსტანტინე ამირეჯიბს დიდი მოწიწებითა და პატივისცემით იხსენიებენ. აი, რა გვითხრა თავის მასწავლებელზე დღეს რესპუბლიკის დამსახურებულმა მექანიზატორმა გ. ჩუბინიძემ:

კონსტანტინე ამირეჯიბმა საზღვარგარეთ დაამთავრა ინსტიტუტი. ნიჭიერი კაცი იყო. სამშობლოში დაბრუნებულმა თავის სოფელში გახსნა პირველი სახელოსნო სკოლა, სადაც გლეხის ბიჭები სწავლობდნენ მჭედლობას, ხარატობას. ჰქონდათ სალეწი, სათიბი, ქარხნული წარმოების გუთნები. ერთხელ კონსტანტინეს ფათერაკი შეემთხვა: სალეწმა მანქანამ ფეხი წააწყვიტა. ხეიბრად დარჩენილ ვაჟკაცს შრომის სიყვარული არ განელებია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უკვე გამოცდილი მექანიზატორი ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციას ჩაუდგა სათავეში, ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის მექანიზაციის კათედრას, ხოლო 1926 წლიდან იყო მანქანათა საგამოცდო სადგურის უფროსი.

1930 წელს კონსტანტინე ამირეჯიბი სათავეში ჩაუდგა ახლად შექმნილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს.

როგორც მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტში გვითხრეს, სავსებით ბუნებრივი იყო, რომ 1956 წელს, როდესაც ეს ინსტიტუტი შეიქმნა, მას ამაგდარი ქართველი მექანიზატორის კონსტანტინე ამირეჯიბის სახელი უწოდეს.

დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა ამ ინსტიტუტმა (დირექტორი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ზურაბ ხანთაძე). ინსტიტუტის ლაბორატორიებში შრომობს რამდენიმე დოქტორი, 52 მეცნიერებათა კანდიდატი. სისტემატურად იქმნება და ინერგება სიახლეები, რომლებიც ესოდენ საჭიროა ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის.

ინსტიტუტის მთავარი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროგრესული ტექნოლოგიის დამუშავება და ახალი მანქანა-იარაღების შექმნა, სრულყოფა და მისი წარმოებაში დანერგვა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სამრეწველო საფუძველზე გადასაყვანად.

ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ჯ. ქურხული ესაუბრა მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რამდენიმე წამყვანი ლაბორატორიის ხელმძღვანელებს, რომლებიც მოკლედ გვაცნობენ იმას, თუ რა შექმნეს მეცნიერებმა უკანასკნელ ხანს და რას სთავაზობენ ისინი სოფლის მეურნეობას.

**შ. ლეფსვერიძე** (მევენახეობის მექანიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი): შევქმენით ვაზის სარგავი მანქანა, ამ მანქანებით რესპუბლიკაში უკვე 7 ათას ჰექტარზე გაშენდა ვენახები. მანქანა სრულყოფილია, მოთხოვნილებაც დიდია მასზე, მაგრამ ყველას ვერ ვაკმაყოფილებთ.

გავაკეთეთ ვაზის ხელის სამყნობი. იგი ერთნახევრჯერ ზრდის მწარმოებლობას, მაგრამ მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ ძალიან მარტივი და ადვილად მოსახმარი ხელსაწყოა. როგორც ცნობილია, მყნობელს უსათუოდ სჭირდება პროფესიული ცოდნა და ოსტატობა. ჩვენეული სამყნობის ხმარება კი ყველას შეუძლია — ბავშვს, ქალს, მოხუცს.

ხელის სამყნობზეც დიდი მოთხოვნილებაა. მას გვთხოვენ საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან, მაგრამ მათ მოთხოვნილებას თითქმის ვერ ვაკმაყოფილებთ.

**გ. კუჭავა** (ელექტროიონური ტექნოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი): დავამუშავეთ ვაზის ნერგის სათბურებში გამოყვანის ისეთი მეთოდი, რომელიც 10 პროცენტით მეტ პირველი ხარისხის ნერგს გვაძლევს. მარტო შარშან ამ მეთოდით 80 მილიონი ხარისხოვანი ნერგი გამოიყვანეს.

**ი. კიკაბიძე** (მებაღეობის მექანიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი): ხეხილის ბაღების დასამუშავებლად შევქმენით ორი სახეობის გუთანი. ერთი ისეა მოწყობილი, რომ ტრაქტორს გვერდით გაჰყვება. მაშასადამე, ხეხილის ტოტებს ტრაქტორი არ წამოედება. მეორე გუთანი კი ისეა გაკეთებული, რომ რიგთშორისების ხვნის დროს ხესთან მისვლისას ავტომატურად გამოირთვება, ხეს გვერდს აუქცევს და შემდეგ ისევ ჩაირთვება. ასეთი გუთნით შესაძლებელი იქნება რიგთშორისებთან ერთად ხეებს შორისაც მოიხნას.

ორივე სახეობის გუთანმა გაიარა სახელმწიფო გამოცდა და საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საკავშირო „სახსოფლტექნიკის“, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროების მიერ რეკომენდებულია წარმოებაში დასანერგავად.

**ს. ჯავახი** (საკვებწარმოების მექანიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი): შევქმენით ორიგინალური მანქანა, რომელიც უხეში საკვებისაგან ბრიკეტებს ამზადებს. საკვების ამგვარად დამუშავების უპირატესობა ის არის, რომ მნიშვნელოვნად მცირდება საკვების ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები.

როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ პირობებში შენახვით უხეში საკვები კარგავს თავის საყუათო თვისებების 35-40 პროცენტს. ასეთი ბრიკეტების შენახვით კი ამგვარი დანაკარგები 8 პროცენტს არ აღემატება.

ბრიკეტების დამამზადებელმა მანქანამ გაიარა ყოველგვარი გამოცდა. მოწონებულია და რეკომენდებულია მისი წარმოებაში დანერგვა.

**ვ. მაკაროვი** (მეცხოველეობის ელექტრომექანიზაციისა და ავტომატიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი): ჩვენ ვმუშაობთ მეწველი პირუტყვის ფერმებში საწარმოო პროცესების ტექნოლოგიის დამუშავებისა და ამ ტექნოლოგიისათვის საჭირო ელექტროტექნიკურ და ავტომატიზებულ ტექნიკურ სამუშაოთა დანერგვისათვის.

შევქმენით რძის დამუშავების ნაკადური ტექნოლოგია ელექტროპასტერიზატორის გამოყენებით.

დავამუშავეთ ქლორილის ბიომასის ინტენსიური წარმოების ტექნოლოგია.

გავაკეთეთ ელექტროჰელიოდანადგარები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ (40-50 პროცენტით) ელექტროენერგიისა და საწვავის ხარჯვას.

დამუშავებულია მეცხოველეობის კომპლექსების ავტომატიზებული მართვის სისტემა.

**ს. როგაქიძე** (გაზისა და ადგილობრივი ენერგორესურსების გამოყენების ლაბორატორიის ხელმძღვანელი): ლაბორატორიაში დამუშავდა და წარმოებაში დაინერგა ციტრუსის ნარგავების, კერძოდ, ლიმონის ყინვისაგან დაცვისათვის გაზით გათბობის სისტემა, რომელიც მოწყობილია გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის 4 ჰექტარ პლანტაციაში. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია ამ მეთოდის ფართოდ დანერგვა. საგულისხმოა, რომ ამ სისტემის ეკონომიკური ეფექტი წელიწადში 42 ათასი მანეთია თითოეულ ჰექტარზე.

ჩვენ ახლა ვფიქრობთ, ლიმონის ნარგავების ყინვისაგან დასაცავად გამოვიყენოთ გეოთერმული წყლები.

**ნ. ბადრიძე** (კოლხეთის დაშრობილი მიწების ათვისებისა და ნიადაგის დამუშავების მექანიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი): ლაბორატორია ორი მიმართულებით მუშაობს. ერთწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის მექანიზაციისა და მრავალწლოვანი კულტურების მექანიზაციის სრულყოფის საკითხებზე.

შევქმენით ნიადაგის ფენობრივი დამუშავების აგრეგატი.

დავამზადეთ ისეთი მანქანა, რომელიც ერთი გავლით ხნავს და თესავს კიდევაც ერთწლოვან კულტურებს.

მრავალწლოვანი კულტურებისათვის შევქმენით რიგთშორისების დასამუშავებელი კომბინირებული მანქანა.

გავაკეთეთ ხეხილის ძირების დასამუშავებელი მოწყობილობა.

შემუშავდა მანქანური სისტემა სოიისა და სიმინდის მოვლა-მოყვანის ინდუსტრიული ტექნოლოგიისათვის.

**ნ. ჩერნიაევი** (სოფლის მეურნეობის პროცესების ავტომატიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი): ჩვენ დავამუშავეთ სათბურებში ჩითილების გამოყვანის მანქანური ტექნოლოგია და მის განსახორციელებლად ტექნიკური საშუალებების კომპლექსი. ეს გამოკვლევები საშუალებას გვაძლევს მექანიზებული და ამასთანავე ავტომატიზებულიც გავხადოთ ბოსტნეულის ჩითილების გამოყვანისა და მოვლის პროცესები.

ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებულია გადაწყვეტილება აღნიშნული სამუშაოების სამრეწველო წარმოების დონემდე გაფართოების შესახებ.

**ა. დიდებულიძე** (ელექტროენერგიის სპეცხაზების გამოყენების ლაბორატორიის ხელმძღვანელი): უკანასკნელ ხანებში დავამუშავეთ სამი საკითხი. მაღალი სიხშირის ელექტროველში მარცვლეული კულტურების თესლის ბიოსტიმულაცია. წლეულს ამგვარად დამუშავებულია 5 ტონაზე მეტი სხვადასხვა კულტურების თესლი, რომელსაც დათესავენ გარდაბნის, მცხეთის, თეთრიწყაროსა და ხაშურის რაიონებში.

დავამუშავეთ აგრეთვე აბრეშუმის ჭიის კვერცხის ბიოსტიმულაცია ელექტრულ ველში. ამით იზრდება პარკის გამოსავლიანობა და მისი ხარისხი. გარდა ამისა ჭია ნაკლებად ავადდება. დიდია საშუალო ეკონომიური ეფექტი. არსებობს ზემდგომი ორგანოების დადგენილება ამ მეთოდის ფართოდ დანერგვის შესახებ.

შევიმუშავეთ სოიის თესლის დამუშავების ტექნოლოგია. ამისათვის შეიქმნა ავტომატიზებული სამქრო.

**ა. გოსიკაშვილი** (სამთო მიწათმოქმედების ენერგეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი): ლაბორატორია მუშაობს ორ საკითხზე. პირველი: კოლხეთის ჭარბტენიან პირობებში თივის დამზადებისათვის საჭირო ენერგეტიკული სისტემის შემუშავება. მეორე: გრძივ და განივ სიბრტყეებში ტრაქტორის გამასწორებელი მექანიზმის შექმნა. ასეთი ტრაქტორი ფერდობზეც სწორად ივლის და აღმართ-დაღმართზეც. ამგვარი ტრაქტორი უკვე შეიქმნა „ტ-25“ ტრაქტორის ბაზაზე და მას უკვე ცდიან.

**თ. ტატიშვილი** (დააგრეგატებისა და ენერგეტიკული კვლევის მეთოდების ლაბორატორიის ხელმძღვანელი): ლაბორატორია მუშაობს სამთო საკვებწარმოების და ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მექანიზაციის საკითხებზე. შემუშავებულია 22 გრადუსამდე დახრილ ფერდობებზე თივის დამზადებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებები. შექმნილია ტრაქტორები და მანქანა-იარაღები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, დამზადებულია 230 ცალი. ამ მანქანებს შეუძლია ფერდობზე თიბვა, დაბულულება და დაზვინვა.

**ვ. შევარდნაძე** (მცირე ელექტრომექანიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი): შევქმენით ჩაის ბუჩქის ხელის სასხლავი ელექტრომძრავიანი მანქანა. უკვე არსებულ მანქანასთან შედარებით, ეს უფრო იაფია და მეტი მწარმოებლობაც აქვს. მანქანამ გაიარა შედარებითი სახელმწიფო გამოცდა და დადებითი შედეგი გვიჩვენა.

**შ. კერესელიძე** (ჩაის მექანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი): მოვახდინეთ ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ მოდერნიზაცია, რის შედეგადაც მანქანის მწარმოებლობა გაიზარდა 74,2 პროცენტით, ხოლო ეკონომიური ეფექტიანობა — 2.132 მანეთით.

დავამთავრეთ მანქანა „საქართველოს“ ჰიდროფიცირებული ვარიანტის მოდერნიზაცია. წელს ეს მანქანა გადის სახელმწიფო გამოცდაზე.

შარშან შევქმენით ჩაის საკრეფი მანქანის ვენტილატორის სულ ახალი ვარიანტი, რომელიც თავის გარემში ჩაის ფოთოლს ისე გაატარებს, რომ არ დააზიანებს. ეს სრულიად ახალი გამოგონებაა, ამარტივებს მანქანას, ზრდის მის მწარმოებლობას. წლეულს ეს გამოგონება გამოცდას გაივლის.

სახელმწიფო გამოცდა გაიარა ციტრუსების ყინვისაგან დაცვის დანადგარმა.

შევიმუშავეთ სრულიად ახალი, ორიგინალური სისტემა კოლხეთის დაჭაობებული მიწების დასაშრობად.

საკარმიდამო მეურნეობისათვის შევქმენით ბაღ-ვენახების შესაწამლი აპარატი, რომელსაც ზურგზე აკიდება არ დასჭირდება. ხელსაწყო ძალზე იაფი, მარტივია და ყველგან შეიძლება მისი გამოყენება.

შევქმენით სრულიად ახალი ტიპის ვაზის სამყნობი მანქანა, რომელიც დენით იმუშავებს.

სახელმწიფო გამოცდა გაიარა ქვევრის სარეცხმა მანქანამ.

ქვევრიდან ღვინო რომ არ „გაიპაროს“ ან, პირიქით, მიწიდან წყალი არ შემოერიოს, ამის საწინააღმდეგოდ შევქმენით ქიმიური ხსნარი. ამასთანავე ამ ხსნარით დამუშავებულ ქვევრზე არ მოქმედებს ტემპერატურის ცვალებადობა.

იგივე ქიმიურ ხსნარს წარმატებით იყენებენ ციტრუსებისა და ხეხილის ყინვისაგან დასაცავად. წლეულს ამ პრეპარატს მთავრობის კომისია გამოცდის.

გავაკეთეთ ჩაის ბუჩქისა და მისი გვერდების ხელის სასხლავი აპარატი.

საინტერესოა ჩვენს ლაბორატორიაში შექმნილი ჩაის ფოთლის მექანიკური დამტვირთავი და განმტვირთავი. პლანტაციებში ამ დანადგარის სრულყოფილად გამოყენება წელიწადში 10 მილიონ მანეთს დაგვიზოგავს.

**ვ. ჩოჩია** (მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში): ინსტიტუტს თელეთში აქვს ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმი. ბევრი სიახლე, რომლებიც ლაბორატორიებში იქმნება, უპირველესად სწორედ ამ მეურნეობაში ინერგება. აქვე ვამზადებთ სოფლის მეურნეობის საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს, რომლებმაც შემდეგ რესპუბლიკის სხვადასხვა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უნდა ამუშაონ თანამედროვე მექანიზაცია.

**მინაწერი:** „კომუნისტის“ რედაქციას სურდა მკითხველისათვის გაეცნო, თუ რა დიდი გამოგონებები ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში. ამის სათქმელად საგანგებოდ ავირჩიეთ ეს ფორმა. მაინც ვფიქრობთ, რომ ბევრი რამ დაგვრჩა უთქმელი. ინსტიტუტში ძალიან ბევრი სიახლე იქმნება, მაგრამ დღესდღეობით ჭირს ამ სიახლეების სოფლის მეურნეობაში დანერგვა და ამა თუ იმ გამოგონების პრაქტიკული განხორციელება-გამოყენება. როგორც კი ახალი მანქანა იქმნება, მაშინვე წამოიჭრება ხოლმე პრობლემა — როგორ დავნერგოთ იგი წარმოებაში? ალბათ საჭირო იქნება, ინსტიტუტთან არსებული ექსპერიმენტული სახელოსნო გაძლიერდეს იმ ვარაუდით, რომ ინსტიტუტს საშუალება ჰქონდეს ახლად შექმნილი რამდენიმე მანქანა მაინც მიაწოდოს სოფლის მეურნეობას. ახლო მომავლისათვის ალბათ დიდი ქარხანაც დაგვჭირდება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის იქნება მოწყობილი, რომ ხორცი შეასხას ყოველ ახალ გამოგონებას, რომ საჭირო და სრულყოფილი მექანიზაცია მიაწოდოს ჩვენს სოფლის მეურნეობას, სადაც უნდა გადაწყდეს სასურსათო პროგრამის ამოცანები.

---

**საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ**

საერთაშორისო
დედამიწის ზურგზე
ცხოვრება

— 7 აგვისტო —

### ბახონარის განცხადება

**თეირანი.** ირანის ახალმა პრემიერ-მინისტრმა მ. დ. ბახონარმა აქ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მომდევნო კვირაში ირანის პარლამენტს (მეჯლისს) წარუდგენს ახალი კაბინეტის წევრებსა და მთავრობის პროგრამას.

## ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

### „მშვიდობის მარში-81“

**პარიზი.** დღეს პარიზში შემოვიდა „მშვიდობის მარში-81“-ის გრანდიოზული მანიფესტაცია რაკეტულ-ბირთვული გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ჩრდილოეთ ევროპაში უბირთვო ზონის შექმნისათვის, შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღებისათვის.

მანიფესტაციის ათასობით მონაწილეს — ქალებსა და მამაკაცებს, ახალგაზრდობის წარმომადგენლებს გულთბილად შეხვდნენ საფრანგეთის დედაქალაქის მცხოვრებნი. კოლონების თავზე ფრიალებდა ტრანსპარანტები, პლაკატები და ლოზუნგები, რომლებზეც სხვადასხვა ენაზე ეწერა „არ გვინდა ბირთვული ბომბი!“ „შეწყდეს გამალებული შეიარაღება!“, „ძირს ამერიკული სიკვდილის რაკეტები!“. მანიფესტანტებს მოჰქონდათ მშვიდობის მტრედიანი დედამიწის სფეროს დიდი მაკეტი.

„არ გავაჭაჭანოთ თერმობირთვული იარაღი ევროპაში, — ასეთი ლოზუნგით ეწყობა მარში. ეს მოწოდება ახლობელი და გასაგებია მილიონობით ევროპელისათვის, რომელთა კონტინენტზე მასობრივი მოსპობის იარაღის უზარმაზარი მარაგია თავმოყრილი.

სსრ კავშირის საფრანგეთის საელჩოში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელზეც „მშვიდობის მარშ-81“-ის მონაწილეებს გადასცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება.

მარშის მონაწილეთა სახელით ნორვეგიელმა რაკელ ანდერსენმა გულწრფელი მადლობა უძღვნა ლ. ი. ბრეჟნევს მისალმებისათვის, „მშვიდობის მარშ-81“-ის კეთილშობილური იდეების მხარდაჭერისათვის.

1200 კილომეტრზე მეტი გაიარეს ამ მშვიდობის ესტაფეტის მონაწილეებმა დანიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ნიდერლანდის, ბელგიისა და საფრანგეთის გზებზე. ისინი კოპენჰაგენიდან გამოვიდნენ 22 ივნისს — საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის მუხანათური თავდასხმის მე-40 წლისთავის დღეს. მარშის ინიციატორები იყვნენ ჩრდილოეთ ევროპის დემოკრატიული ქალთა ორგანიზაციები.

დღეს პარიზში იწყება მასობრივი ღონისძიებები, შეხვედრები და დისკუსიები მშვიდობისა და განიარაღების აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც „მშვიდობის მარშ-81“-თან არის დაკავშირებული. ისინი 9 აგვისტოს დამთავრდება მშვიდობის ფესტივალით.

### პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

**ვარშავა.** როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი 8-დან 11 აგვისტოსათვის გადაიტანოს.

პლენუმი განიხილავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან, აგრეთვე პარტიის საქმიანობას პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX საგანგებო ყრილობის შემდეგ.

### ფოტოინფორმაცია



**ავღანეთის** სახალხო-დემოკრატიული პარტია ფართოდ აბამს ხალხის მასებს ახალი საზოგადოების მშენებლობაში. ყველგან მოქმედებენ სააგიტაციო რაზმები, რომლებშიც გაერთიანებული არიან ახალგაზრდობის დემოკრატიული ორგანიზაციის აქტივისტები, მხატვრები, მუსიკოსები.

სააგიტაციო ბრიგადათა პროპაგანდისტები მსმენელებს განუმარტავენ ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიისა და რევოლუციური მთავრობის პოლიტიკას, ეროვნული ხამამულო ფრონტის მიზნებს, ამოცანებსა და მნიშვნელობას.

**სურათზე:** ბადახშანის პროვინციის მცხოვრებნი ათვალიერებენ აგიტბრიგადის წევრთა მიერ ჩამოტანილ ფოტოვიტრინას.

საქდესის ფოტოქრონიკა.

გიორგი შატბერაშვილის დაბადების 70-ე წლისთავის გამო

# მშობლიური სიტყვის მოჭირნახულე



## გიორგი შატბერაშვილი

## შვილის დალოცვა

ერთი შვილი — არაშვილი!
ორი შვილი — ვითომ შვილი!
სამი შვილი — მართლა შვილი!
ხალხური

ამიერიდან ნუ მოეშლება
შენს ახალ ოჯახს სიკეთე ბევრი,
დაგბადებოდეს პირველ მერცხლებად:
ქალი — ივერი
ვაჟი — იბერი!

ქალი, ივერი, — სინაზე ერის,
მისი ჩუქურთმა, მისი ყვავილი.
ვაჟი იბერი — სიმტკიცე ერის,
მის მკერდზე ბურჯად ამოყვანილი.

პირველი წყვილი იგულე თავნად,
ზარდე სამშობლოს ხარკად და სესხად,
ხნულში სახნისის პირველ გამტანად —
რომ სიკეთის ხეს კვლავაც მოესხას.

დედის ხსენებას და მამის სახელს
ნუ ამოაგდებ შენს ტკბილ ოჯახში,
დედის სახელი ქალს დაუძახე,
ჩემი სეხნია გაზარდე ვაჟი!

ისე გაზარდე, ისე არწიე,
არ გააგონო ბალღს ავქართული,
დააფრთიანე, დააარწივე
სულ თავანკარით და ნაკადულით.

ტკბილი ქართულით ენა აუცერ,
გზა უწალმართე, გაუძეხ გზებზე,
საყვარელ მცნებად გულს დაუწერე:
„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“!

თბილისი. 1960 წ.

ახლახან ჩვენმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილის დაბადების 70-ე წლისთავი.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში, სადაც ხსოვნის საღამო გაიმართა, ქართველმა მწერლებმა, მეგობრებმა, განსაკუთრებული სითბოთი გაიხსენეს მწერალი, ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატი, ვინც უზადოდ და დიდებულად ფლობდა ქართული სიტყვის ჯავარსა და ფერხორცს, და რომლის თავანკარა ქმნილებებმაც გაამდიდრა ქართული ხიტყვაკაზმული მწერლობა.

საიუბილეო დღეებში მწერლის მშობლიურმა სოფელმა კავთისხევმა, თვალწარმტაცმა თვალადმაც უამრავ სტუმარს უმასპინძლა. საზეიმოდ გაიხსნა მემორიალი და ბიუსტი, რომლის ავტორები არიან მოქანდაკე ჯ. თუშურაშვილი და არქიტექტორი ი. კავთიაშვილი.

„კომუნისტის“ რედაქციამ შეარჩია მარჯანიშვილის თეატრში და კავთისხევში მოხაგონარ საღამოებზე გამომსვლელთაგან ზოგიერთის სიტყვა და დღეს სთავაზობს მკითხველებს.

## სიცოცხლე გრძელდება

სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე... — გიორგი შატბერაშვილის საუკეთესო ლექსის სათაურია. ლექსი ჭეშმარიტად სიცოცხლის საგალობელია. ეს ლექსი მომაგონდა გიორგის გარდაცვალების მეთხუთმეტე წლისთავზე... უფრო სწორად დაბადების 70-ე წლისთავზე, რომელსაც ახლა ვუხდით ამ ქვეყნიდან უდროოდ წასულ მეგობარს.

გალაკტიონის წლისთავზე გიორგი შატბერაშვილი წერდა: „ამბობენ სიკვდილი ადამიანის ყურთ უკან დგასო....

ჩვენ დანდობილნი ვდგავართ, ვიცინით, ხვალინდელზე ვფიქრობთ, ჩვენს ზურგსუკან ატუზული შავი კაცი ფეხაკრეფით დააბიჯებს, თვალებს ბოროტად აბრიალებს, არავინ უწყის, ვის უფრო ადრე მოჰკიდებს ხელს, ვის უფრო ადრე წაიყვანს მიუსავლეთში — ჯერ სიცოცხლით დაუმტკბარ ჭაბუკს თუ სიცოცხლეგამწარებულ ბერიკაცს“.

გიორგი შატბერაშვილი არც სიცოცხლით დაუმტკბარი ჭაბუკი გახლდათ და არც სიცოცხლეგამწარებული ბერიკაცი, იგი უფრო ტკბილი ბერიკაცობისთვის იყო შემზადებული. მოულოდნელად ადრე, ძალიან ადრე წავიდა ჩვენგან.

გიორგი შატბერაშვილმა თანამედროვე ქართულ მწერლობაში წარუშლელი კვალი დატოვა. თითქმის ორმოც წელიწადს ემსახურა ქართულ სიტყვას ნიჭიერად და თავდადებულად.

„ღმერთო, მიცოცხლე ქართული სიტყვა“, — თქვა პოეტმა და ეს ლოცვასავით გულიდან ამონახდომი მთრთოლვარე, ფაქიზი და ჟრუანტელის მომგვრელი სტრიქონი დიდი ხანია მეხსიერებიდან არ ამოდის.

მრავალფეროვანი იყო მისი შემოქმედება. პოეზია, პროზა, დრამატურგია, მრავალი წერილი სალიტერატურო საკითხებზე და, ბოლოს, ფასდაუდებელი „თვალადური ლექსიკონი“. ყოველივე ეს ოთხ დიდ ტომს შეიცავს. თუ ამას დავუმატებთ საბავშვო მოთხრობებსა და ლექსებს, თარგმანებს, მეხუთე ტომიც შედგება. ეს დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა ქართული სიტყვის გამოჩენილმა ოსტატმა, რაც მოასწრო ხანმოკლე სიცოცხლეში.

ქართული სიტყვა უყვარდა თავდავიწყებით. მუდამ ხალხში ტრიალებდა, ეძიებდა, პოულობდა და ეფერებოდა ყოველ სიტყვას. სამზეოზე გამოჰქონდა ხალხში შობილი და შემდეგ მივიწყებული მარგალიტები. ამდიდრებდა ქართულ ლექსიკონს. მისი ენა უაღრესად ნათელი, გამჭვირვალე და ჭეშმარიტად ხალხური იყო. ამ მხრივაც ყველასათვის სამაგალითო და მისაბაძი მწერალი გახლდათ.

არაჩვეულებრივი სამეგობრო ვაჟკაცი იყო. სულით ნამდვილად რაინდი. და თავმდაბალი. ქართულ მწერლობაში ბევრი მეგობარი ყავდა, რომელთაც გიორგი საყვარელ ძმად მიაჩნდათ. განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდობა, მათ სამწერლო გზაზე გამოყვანას დიდი დრო და ენერგია შეალია.

თუ როგორ უყვარდა ეს უაღრესად ნიჭიერი მწერალი, ხალხს, ამაზე ნათლად მეტყველებს მარჯანიშვილის თეატრში გამართული დიდი საღამო, რომელიც მწერლის დაბადების 70-ე წლისთავს მიეძღვნა, მარჯანიშვილის თეატრი მწერლისათვის მშობლიური თეატრი იყო, აქ დაიდგა მისი რამდენიმე პიესა. ქართველმა მწერლებმა და მსახიობებმა ბევრი ისაუბრეს მწერლის შემოქმედებაზე, წაიკითხეს გიორგის ლექსები. ეს იყო გულთბილი მოგონების მოკრძალებული საღამო, რომელიც სამაგალითო უნდა გახდეს ყველასათვის.

საბოლოოდ გიორგი შატბერაშვილის სიტყვებს „სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლე...“ დავუმატებ მხოლოდ ერთ სიტყვას: გრძელდება!

ჭეშმარიტად, სიცოცხლე გრძელდება!..

რევაზ მარგიანი.

## ჭეშმარიტი შემოქმედი

გიორგი შატბერაშვილი შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში განშორდა წუთისოფელს, ახალგაზრდული ჟინით და სიტყვასთან ბრძოლის სურვილით ანთებული.

მას ღრმად ჰქონდა შეთვისებული თითქოსდა სულ უბრალო ჭეშმარიტება, რომ მაღალი ზნეობრივი პოზიცია არის და ყოველთვის იქნება შემოქმედების ყველაზე საიმედო ბალავარი. იგი მკაცრად ემიჯნებოდა იმათაც, ვინც საქვეყნო საქმისათვის გარჯის ნაცვლად, ხმალამოღებული იბრძოდა საკუთარი სახელის მოსახვეჭად.

იგი უჩუმრად, ყოველგვარი ამბიციების გარეშე ეზიდებოდა მწერლური მოღვაწეობის მძიმე ტვირთს და აკი შედეგიც ასეთი შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

ხალხურ კილოზე ახმიანებულ ლექსებსა და მშვენიერ მოთხრობებთან ერთად ამის უტყუარი მაცნეა მისი მრავალრიცხოვანი ნარკვევები, რომლებიც მეტწილად ქართული სიტყვის სათავეების კვლევა-ძიების იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენს.

თანამედროვე ქართული პროზის მნიშვნელოვანი მიღწევაა აგრეთვე მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ქმნილება „მკვდრის მზე“, რომელიც გამორჩეულია არა მხოლოდ მძაფრი პრობლემატიკით, არამედ მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისითაც.

ყოველი მწერალი, თუკი ამ სახელს ბოლომდე ამართლებს, თავისი გმირებით, მისგანვე შექმნილი მხატვრული სახეებით სულდგმულობს. ხოლო ზოგი მათგანი განსაკუთრებულია და მეტ წილ შემთხვევებში ფაქტობრივად მისსავე ალტერ ეგოს განასახიერებს.

გიორგი შატბერაშვილის მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროში მე ასეთ გმირად ხიზამბარელი ფალავანი მეჩვენება. სიცოცხლის ფასად დაუჯდა ხიზამბარელს საჭილდაო ქვის მიწიდან მოწყვეტა. ან როგორი ინტიმითაა მოთხრობაში წარმოსახული მარტოდ შთენილი ხიზამბარელის დიადი მიძინება. კლასიკური ლეგენდის უმკაცრესი სტილით ნაწერი ამ ეპიზოდის ძირითადი ქვეტექსტი კი ის გახლავთ, რომ მხოლოდ თავგანწირვის, სისხლისფასად არის შესაძლებელი შემოქმედების უმაღლესი ზღვარის დაძლევა.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მწერლობას, საერთოდ მხატვრულ სიტყვას, გაუსხლეტელად მედინ მოვლენათა სამარადისოდ აღბეჭდვა აწევს ვალად... ადამიანი კიდეც ცოცხლობს და კიდეც კვდება ერთდროულად, ხოლო ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედის თითქმის დაუძლეველი ამოცანაა ჩასწვდეს ამ უღრმეს საიდუმლოს, აღნუსხოს სიკვდილ-სიცოცხლის ეს უწყვეტი მეტოქეობა.

მწერალი თითქოს გუმანით გრძნობდა საკუთარი ეტლის საბედისწერო აჩქარებას და, მართლაც, ხიზამბარელივით შეეჭიდა სიკვდილ-სიცოცხლის ამ დაუსრულებელი დიალოგის მხატვრულ ფიქსაციას. მის ქმნილებათაგან ამის დასტურია უწინარეს „მკვდრის მზე“, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, მომავალი თაობებისათვის თვით გიორგი შატბერაშვილისავე მწერლური უკვდავების ხელთუქმნელ ძეგლად აღიმართება.

გიორგი შატბერაშვილი ქართული სიტყვის მესაიდუმლე და, როგორც თვითონ იტყოდა „მჩხრეკელი“ იყო, ხოლო ძიებათა ამ გზაზე იგი თავის უპირველეს მოძღვრად სულხან-საბა ორბელიანს მიიჩნევდა, საალერსოდ „სიტყვის პაპა“ შეარქვა მწერალმა სახელოვან წინამორბედს და ერთგულად მისდევდა კიდეც მის ნათელ კვალს: „სამკურნალო ბალახებივით“ ეძიებდა ქართულ ხატოვან თქმებს და ასევე ხატოვანი, „ტკბილ-ქართული“ ფრაზებით განმარტავდა მის მიერვე მიკვლეულ, მეტ წილ შემთხვევაში უსამართლოდ მივიწყებულ სიტყვებს. მან კარგად იცოდა, რომ სიტყვა ცოცხალ არსებას წააგავს, იბადება, იზრდება და უდიერი მოპყრობის გამო ზოგჯერ ნაადრევად კვდება კიდეც.

ქართული მწერლობა იყო და დარჩება კიდეც ქართული სიტყვის ყველაზე დიდ მოჭირნახულედ. გიორგი შატბერაშვილის მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად ამის მეტყველი ნიმუშებია აგრერიგად გახმაურებული მისივე წიგნები. „ნაფიქრი“ და ბოლოს ნაშრომი, რომელსაც მან ასეთი მორიდებული სათაური „ჭაშნიკი“ შეარქვა.

მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, მის აშკარად მეცნიერულ, ლექსიკოგრაფიული ხასიათის ნარკვევებსაც ამშვენებს ის უებრო ღირსება, რომელიც გიორგი შატბერაშვილის მხატვრული შემოქმედების კიდევ ერთი მაღალი თვისებაა — ეს არის თხრობის შესაშური ოსტატობა. ნარკვევებში საოცარი ბუნებრიობით ერწყმის ერთმანეთს მკვლევარი და მეცნიერი.

ავტორი მკითხველს აწვდის არა მხოლოდ ძიებით მოპოვებულ შედეგებს, არამედ ოსტატურად მოუთხრობს ძიების გზაზე აღმართულ სხვადასხვა დაბრკოლებათა შესახებაც. მკითხველიც უნებურად, თითქოს ამ კვლევა-ძიების მონაწილე ხდება და სიამოვნებით მიჰყვება ავტორს ძნელად სავალ ბილიკზე. საკმარისია აქ მარტო სიტყვების „ხარება“, „შეკვეთილის“, „ანაგულის“ და სხვათა გახსენება ან დაკვირვება ხალხურ ლექსზე, რომლის ერთი ადგილის მართებული აღდგენა, „კვირიაცისკრის“ მანამდე მიჩქმალულ მითოლოგიურ პარალელზე მიგვანიშნებს.

მწერალი რაღაც არაჩვეულებრივი გატაცებით სწავლობდა ჩვენი ხალხის ამ უძვირფასეს საუნჯეს. განსაკუთრებით კი ცოცხალ, სასაუბრო ხალხურ მეტყველებას აკვირდებოდა, რომლის უნიკალური ნიმუშები მას მშობლიურ კავთისხევსა და თვალადში ჰქონდა დადასტურებული. ვრცელი ლექსიკონის შედგენასაც აპირებდა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილის გამოქვეყნებაღა მოასწრო ზემონახსენებ მის უკანასკნელ წიგნში...

ადამიანისათვის მინიჭებული, ისედაც მოკლე სიცოცხლის ბოლომდე გასრულება აღარ დასცალდა. სწორედ შუადღის მზემ უმტყუნა მწერალს და მე მინდა ეს პატარა მოსაგონარი წერილი დავამთავრო ერთი ძველი ხატოვანი ფრაზით ადამიანის ღვაწლის შესახებ, რომელსაც ხშირად წარმოთქვამდა ხოლმე თვითონ ბატონი გიორგი: „ხელი მწერლისა მიწდების, ხოლო სახელი მისი ჰგიეს საუკუნოდ“.

გიორგი შატბერაშვილის სახელი მუდამჟამად უნდა ვიგულოთ ქართული სიტყვის ამ, მართლაც, დაუვიწყარ მომამაგეთა შორის.

სარგის ცაიშვილი.

## მზიანი გიორგი

მართლაც მშვენიერი სახელი ჰქვია გიორგი შატბერაშვილის ნააკვნარს, ადგილის დედას — თვალადი. თვალადი იყო თავად და თვალადური სტრიქონი ჰქონდა. თვალიდან და სამადლოდან მოჰქონდა მიწა საქვეყნოდ გახარებული ყვავილებისათვის.

მართლა მთიბავივით, ჯიუტი მთიბავივით იდგა მინდორში და თიბავდა ხალხის დათესილს, სარეველს აშორებდა და მშვენიერებით უმასპინძლდებოდა ძვირფას სამშობლოს.

გიორგი სხვა კაცი იყო. როცა, იგი გავიცანი, ჩემზე უმცროსი გახლდათ ჩემს ახლანდელ წლოვანებასთან შედარებით). ორმოცდაშვიდი წლისა, მაგრამ თუ მართალს ვიტყვი, უკვე ბრძენი. დიდ ანგარიშს ვუწევდი მის შეფასებას, (თუმცა მეშინოდა) კიდევაც, მართალს გეტყოდა და მისთვის, მოგახლიდა და მისთვის.

ერთი შეხედვით. ავი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ როცა ნათელი გადაეფინებოდა მის ქართულსა და რაინდულ სახეს, ცხრა ძმა ხერხეულიძეები გაგახსენდებოდა, სამასი არაგველი გაგახსენდებოდა, გიორგი სააკაძე გაგახსენდებოდა.

ერთხელ მცხეთაში გავიარეთ, ისე, არაფრის გამო, პური უნდა გვეჭამა, ერთმანეთს უნდა მოვფერებოდით. სიტყვა გიორგი სააკაძეზე ჩამოვარდა, წუხდა გიორგი შატბერაშვილი გიორგი სააკაძის ბედზე, იქნებ, სულაც პაატას ბედზე; ერთი კი ვიცი, რომ ძალიან წუხდა. იცით თუ არა თქვენა რომ მთელი სიცოცხლე გიორგი სააკაძისადმი მიძღვნილ ხალხურ ლექსებს დავეძებ და ვერ კი ვპოულობ. ახლახან ერთი ლექსი აღმოვაჩინე, „შენ წადი, მე აქ დავრჩებიო“, ეუბნება საბრალო პაატა მამამის გიორგის და ეს ლექსიც პაატაზეა და არა გიორგიზეო. აუცილებლად იქნება გიორგიზე ხალხური ლექსი, აუცილებლად ვიპოვი და ამოვისუნთქავ, ქართველი ხალხი გიორგი სააკაძეს ულექსოდ არ მიატოვებდაო, — წუხდა გიორგი შატბერაშვილი, გიორგი სააკაძის და ქართველი ერის ეს დიდი მოჭირნახულე.

გიორგი შატბერაშვილის ყვავილიანი ლექსები საოცრად უხდებოდა ჩვენს დიდ მწერლობას. იმ დღეს დიდუბეში მისი საფლავის ლოდს დავჩერებოდი და მისივე ლექსი მახსენდებოდა:

მოკვდეს, სამარის ქვას
დაეწეროს:
აღსდექ, იცოცხლე...
ვსვამთ სადღეგრძელოს.

სამოცდაათი წლის იქნებოდა დღეს გიორგი შატბერაშვილი, მან თავის ორმოცდახუთმეტი წლის ასაკში უკვე ასწია ერის საჭილდაო ქვა, ქარი გაუტარა და წავიდა, წავიდა და ისე ბარათაშვილის ბეჭდის წარწერა გაგვახსენა:

„ყველას დრო წასულა,
ჩემი დროც წავა,
ყველას მზე ჩასულა,
ჩემი მზეც ჩავა...

გიორგი შატბერაშვილის მზე ამოდის!

ჯანსუღ ჩარკვიანი.

## თვალადური ქართული

თითქმის ყველა ჟანრში მუშაობდა გიორგი შატბერაშვილი, ლექსები, მოთხრობები, პიესები, სტატიები, მემუარული ჩანაწერები... მწერლის თხზულებათა ოთხტომეულში ამათგან მხოლოდ ზოგიერთია დათარიღებული, მაგრამ თითქმის ყველას დაწერისა და დაბეჭდვის დრო მახსოვს. ვფურცლავ ტომეულებს და, აგერ, ერთ მოზრდილ თხზულებას წავაწყდი, რომელსაც არც დაწერის თარიღი აქვს და ვერც განსაზღვრავ, როდის დაიწერა — მწერალი მასზე მთელი თავისი სიცოცხლე მუშაობდა და დამთავრებულად არც მაშინ მიაჩნდა, როცა დაიბეჭდა. ამ თხზულებას „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“ ჰქვია, და მისი ჟანრობრივი განსაზღვრაც გაგიჭირდებათ, ფორმით თითქოს ლექსიკონსა ჰგავს, მაგრამ ლექსიკონის ჩარჩოებში ვერ ჩატევ. უფრო სხვა არის. უფრო მეტი და უფრო საინტერესოც...

აქ ავტორი ქართლის ერთ მშვენიერ სოფელს გვაცნობს. ამ სოფლის ცხოვრებას გადაგვიშლის... სოფლის შვილი თავისი მშობელი სოფლის ჭირ-ვარამს გვიზიარებს. მიგვიძღვის ორღობეებში, ეზო-კარს მოგვატარებს, ყველგან დაურიდებლად შეგვიყვანს და ისეთ რამესაც დაგვანახვებს, რაც საერთოდ სტუმრის თვალისთვის დაფარულია, სტუმრის თვალს მოარიდებენ ხოლმე. სოფელს თავისი საიდუმლო აქვს, თავისი თადარიგი, თავისი წესი და რიტუალი. ყველაფერს როდი აჩვენებენ უცხო ადამიანს...

შენ კი თითქოს უჩინმაჩინის ქუდი გხურავს, დადიხარ სოფელში და ყველაფერს ხედავ, ყველაფერი გესმის... განსაკუთრებით საგულისხმო ის არის, რომ მარტო ერთი თაობის სოფელს კი არა ხედავ, თითქოს შორეულ წარსულშიც გადაგიყვანა ავტორმა და იმათი წინაპრებიც გაჩვენა, ვისაც ახლა ხვდები და უსმენ.

ქართულ სოფელს ეცნობი, მისი ცხოვრების წესს, მის მეტყველებას, მის განუმეორებელ იუმორს, მის მწარე-ტკბილ ირონიას, მის ყოფითს კულტურას. მის შრომისმოყვარეობას, გულითადობას, პატიოსნებას...

აქ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებსაც შეხვდები, პატარა ესკიზებს, დასრულებულ ნოველებს... რამდენიმე სტრიქონისაგან შემდგარ ნოველას, და ხასიათებს. ზოგჯერ თითო სიტყვით დახატულ ხასიათებს. გაცოცხლებულ ხასიათებს. აბა ნახეთ, რა ლაკონიური დახასიათებაა, და როგორ ცოცხლად ხედავ ამ ადამიანს...

„არსაითა — ყოყმანა, არსაითა — კაცი“...

თითქოს მთელი ცხოვრება გაგეცნოს ამ კაცისა, თითქოს ცოცხლად ხედავ მუდმივი ორჭოფობისა და ყოყმანისაგან სასაცილოდ დაფეთებულსა და გაწამებულ სახეს, თითქოს მისი ყოყმანის კონკრეტული ეპიზოდებიც ცოცხლდებიან.... სხვათა შორის, ეს ხასიათი მწერალმა მერე თავის პიესაში გადაიტანა.

„უსჯილისა — კაცი, რომელიც არაფერს მოაკლდება, არც მოიკლიბს“

„უჯერ-მაჯერა — მსუნაგი, მსრიტი უჯეროდ ჭამა-სმის მოყვარული“.

„არმინდა — თავპატიჟა, სუფრაზე ხვეწნის დიდად მოყვარული, მაგრამ ხარბი და გაუმაძღარი ადამიანი; ასეთზე იტყვიან: არმინდამ ცხრა ჯამი ლობიო მოტორაო“.

„ცალპირად ნაქსოვი კაცი — უნდილი, უუნარო კაცი“.

„წელანგარა — ზარმაცი, წელათრეული, წელმოწყვეტილი კაცი“.

„ჭამაფიცილა და სმაფიცილა — ჭამაფიცილა და სმაფიცილა ხასიათი ერთმანეთის ძმები არიან; ჭამაფიცილა ჭამს და ფიცავს, არ მიჭამიაო; სმაფიცილა სვამს და უარობს, არ მისვამსო“...

„აქშა ქალი — რამდენჯერმე ქმარგამოცვლილი ქალი“..

„საბეგრო მოზვერი — საბეგრო მოზვერს დაცინვით ეძახიან იმას, ვისაც წარამარა საქმებენ და მორბედივით იყენებენ. — „რა საბეგრო მოზვერი მნახეთ, სუ რო მსაქმებთო?“..

ხალხში მოკრეფილ ამ სიტყვებსა და გამოთქმებს რომ ეცნობი, აღფრთოვანებაში მოყავხარ არა მარტო ჩვენი ენის საოცარ მოქნილობასა და სიღრმეს, როცა ერთი სიტყვით ადამიანის ხასიათის გადმოცემა ხერხდება, არამედ უფრო იმას, რომ ეს უენებელი ირონია ადამიანების ზნეობრივ აღზრდას ემსახურება. ეს კი, თავისთავად, ერთი შტრიხია ხალხის ხასიათის გადმოსაცემად. ადამიანის ზნეობრივი აღზრდა მუდამ იყო ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი, მისი ცხოვრების წესი ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ მთავარ ამოცანად ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, ადამიანში მაღალი ზნეობის წარმოჩენას, მის კაცურ კაცად აღზრდას ემსახურებოდა. და ეს გიორგი შატბერაშვილის „თვალადურ ჭაშნიკშიც“ კარგად აისახა. პირდაპირ არ მიუთითებს, მაგრამ აშკარად ეტყობა, მწერალი ამაზე ამახვილებს ყურადღებას.

თუმცა ამავე თხზულებაში უფრო უწყინარ და „უსაგნო“ იუმორსაც შევხვდებით.

„ცხვირის შასიება — ცხვირი რო შაუსივდება გოგოსა და თანაც კვერცხივით შამწიფდება, მაშინ არი გასათხოვარი“.

ზემოთაც შევნიშნეთ, რომ ამ თხზულებაში გაცოცხლებულია ჩვენი სოფლის ყოფა, ცხოვრების წესი, ეთნოგრაფიული თავისებურებანი. ავტორს თავის სოფელში მოუკრებია ისეთი სიტყვა-გამოთქმანი, რაც აქამდე არავის შეუნიშნავს და რაც ძალიან მარჯვედ და ცოცხლად გადმოგვცემს ჩვენი ხალხის ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის საინტერესო დეტალებს.

„დილის წყალი — ეს სიტყვა ჩემი ბავშვობის მოგონებაა... ქვემო სართულში, რომელსაც „ძირის სახლს“ ვეძახდით, მიწურ იატაკზე დამწკრივებული იყო ცივი სასმელი წყლით სავსე სხვადასხვანაირი ჭურჭელი: უზარმაზარი თიხის კოკები, გრძეკისერა ლიტრები, ლამაზი ღვინის გოზაურები, ჩაფები... სოფელში წყალსადენი არ იყო და მთელი დღის მარაგი დილითვე მოჰქონდათ. მიწური იატაკი ზაფხულის ცხელ დღეებშიც წყალს გრილად ინახავდა, გახურებული კალოობის დღეებში ხშირად გაიგონებდით: „ჩაირბინე, ბიჭო, დილის წყალი ამომიტანე, ყელი გაშრა“.

„ვაზის დანწრილშვილება — როცა ვაზს რქით მეტისმეტად დატვირთავენ, ვაზი, „რქად იქცევა“, მისი ძალა რქის ზრდაში იხარჯება. მართალია ბევრსაც მოისხამს, მაგრამ — „ძალა დაადგება და ქვირითას გამოიტანს“...

„პირუბანელა პური — უსაფანლოდ გამომცხვარი პური. „რა პირუბანელა პურს აკრავ, გოგო, საფანელი ველარ უყავ?!“...

„ფქვილმარილა — ერთ სათითე პურის ფქვილს გაურევენ ორ სათითე მარილში, წყალში აზელენ, გამოაცხობენ გასათხოვარი ქალის ბედზე. ამ პაწაწინა პურსა და უმძრახ წყალს ერთად შეინახავენ; „კლიტეს დაადებენ“, დაძინების წინ „ფქვილმარილას“ შეაჭმევენ იმას, ვის ბედზეც იყო გამომცხვარი. სიზმარში ვინც ქალიშვილს შენახულ წყალს სასმისით დაალევინებდა, მისი საბედო ის იქნებოდა“.

სოფელი დღითი დღე იცვლება, ამასთან ერთად ცვლილებას განიცდის მისი ცხოვრების წესიც, და, ბუნებრივია, ფუნქციადაკარგული სიტყვა-გამოთქმანი თანდათან დავიწყებას ეძლევა. მათი დაკარგვა კი მართლაც დასანანია არა მარტო ენობრივი თვალსაზრისით, არამედ უფრო იმიტომ, რომ ისინი, კარგად ავსებენ ჩვენს წარმოდგენას ჩვენი სოფლის ყოფითს კულტურაზე, ქართველი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ხასიათზე.

გიორგი შატბერაშვილის „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“ კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რა მრავალფეროვანი, ღრმა და ამოუწურავია ჩვენი ენა, კიდევ რამდენი გულმოდგინე მუშაობაა საჭირო მისი საარაკო სიმდიდრის გამოსამზეურებლად, რა საშური და გადაუდებელია ეს საქმე... ეს თხზულება და ტომეულებში მოთავსებული მწერლის სხვა წერილებიც პირდაპირ მოუწოდებენ ახალგაზრდა ავტორებს გაუფრთხილდნენ მწერლობის მთავარ იარაღს — ენას, არ დააჩლუნგონ იგი, და რაც მთავარია, გამოიყენონ მისი ამოუწურავი სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ამის მაგალითს გიორგი შატბერაშვილი თავისი შემოქმედებით თვითონვე აძლევდა ახალგაზრდა მწერლებს.

ავტორს მუდამ უჭირს, თავისი შემოქმედებიდან რომელიმე გამოარჩიოს. ეს ალბათ გიორგი შატბერაშვილსაც გაუძნელდებოდა. და მაინც, როცა მწერლის ოთხტომეულს ეცნობი, თითქოს ყველაზე უფრო სწორედ „თვალადური ჭაშნიკი“ მიგიზიდავს და დაგაინტერესებს, როგორც თავისებური ქებათა ქება ქართული სოფლისა, და ქართული ენისა.

ვახტანგ ჭელიძე.

ჩვენი „საჰარა“

„საჰარის სიყვარული პირველი შეხედვისთანავე იბადება, მას აღიქვამ, მაგრამ რეალურად ვერასოდეს ვერ დაინახავ“.

ანტუან სენტ ეგზიუპერი.

## ბუნების



## პარადოქსები

დედამიწაზე ერთიმეორეზე თვალწარმტაცი და მიმზიდველი მრავალგვარი ლანდშაფტი არსებობს. ტროპიკები მრავალსართულიანი, ზღვა მცენარეებითა და ცხოველთა სამყაროს ნაირფეროვნებით გამოირჩევა, ტუნდრა — მწირი ნიადაგითა და ქონდარა ფლორით; ყრუ ტაიგა და სავანა — კეთილშობილი კლიმატით, მთა — ხავერდოვნებით, არქტიკა — მუდმივი სუსხითა და თეთრი მდუმარებით. მათ გვერდით დედამიწაზე არსებობს ნახევარუდაბნო და უდაბნოც. ვინც მას არ იცნობს, იგი უსიცოცხლო ქვიშად და მხოლოდ გადამწვარ, კოშმარებით სავსე ალაგად ესახება. მაგრამ, ვინც ერთხელ მაინც საფუძვლიანად გასცნობია მას, დარწმუნდება, რომ უდაბნო უდაბური არ არის. დედამიწის უდაბნოს ზონაში ხარობენ მცენარეები, არიან ცხოველები, ბინადრობენ ადამიანები.

უფრო მეტიც, თითქოსდა პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, მრავლისმნახველ ადამიანსაც კი უდაბნო თვალის პირველი შევლებისთანავე ანდამატივით იზიდავს. და რაც უფრო ახლოს ეცნობა, მით უფრო აღფრთოვანებული რჩება, უდაბნოს იდუმალი მომხიბვლელობის ტყვეობაში ექცევა.

უდაბნო თავის წიაღში აურაცხელ სიმდიდრეს ინახავს. უპირველეს ყოვლისა ეს სიმდიდრე ნავთობია. აღმოსავლეთ საქართველოს ნახევარუდაბნოში ახლახან აღმოჩენილი ნავთობი უკვე ჩადგა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სამსახურში. მაგრამ უდაბნო მეცხვარეობის მძლავრი საკვები ბაზაც არის. ჩვენში, შირაქ-ელდარ-სამუხის ველები ახმეტის რაიონის ათასობით სულ ცხვარს ინახავს ზამთარში. უდაბნოს სარწყავ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში დიდძალი ბოსტნეულ-ბაღჩეული, ხილი და ყურძენი, მარცვლეული კულტურები მოდის. უდაბნოს ყველაზე მწირი მიწები, სადაც ცხვარი და თხაც კი ვერ პოულობს საზრდოს გარეულ ჩლიქოსანთა არვეების სამყოფელია. შირაქისა და გარეჯის ნახევარუდაბნოებში ჯერ კიდევ 1940 წლამდე ასეული სულისაგან შემდგარი ქურციკის (ჯეირნის) არვენი დანავარდობდნენ. აღმოსავლური პოეზიის მუზად ქცეული ეს ჩლიქოსანი დიდ პერსპექტივებს ქმნის პრაქტიკული თვალსაზრისითაც. მეცნიერ-ბიოლოგები ფიქრობენ, რომ სპეციალური ბიოტექნიკური ღონისძიებებით შესაძლებელია ქურციკის რეაკლიმატიზაცია, მისი იმ რაოდენობით მომრავლება, როცა შესაძლებელი გახდება მასზე გეგმაზომიერი ნადირობა.

უდაბნო ადამიანის იმედის კუნძულია. მეცნიერები ახლა ვარაუდობენ, რომ დემოგრაფიული აფეთქების მეოცე და განსაკუთრებით ოცდამეერთე საუკუნეში, უდაბნომ შეიძლება ოქროს რეზერვის როლი შეასრულოს. ეს კუნძულ-გიგანტი ხომ დედამიწის ათ მილიონამდე კვადრატულ კილომეტრ ფართობს მოიცავს. სწავლულთა აზრით, დესტილირებული ზღვის წყლით მორწყული უდაბნოს ზონა წალკოტად შეიძლება გადაიქცეს. ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ გეოლოგიური წარსულის მსგავსად ჩვენს პლანეტაზე შესაძლებელია მომავალშიაც მოხდეს გარკვეული კატაკლიზმები. როგორ ფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში სიცოცხლის შენარჩუნების ყველაზე მეტი შანსი ვისა აქვს? ალბათ, გარემოსთან შეგუების ურთულესი და უნატიფესი მექანიზმებისა და ფორმების მქონე იმ ზონის ბინადრებს, როგორიც სწორედ უდაბნო და ნახევარუდაბნოა. რთული და მრავალფეროვანი, უჩვეულო გამომგონებლური ნიჭით დაჯილდოვებული ცოცხალი მატერიის აქაური ბინადარნი თავგამოდებით იბრძვიან სიცოცხლისათვის, თუმცა გარეგნულად თავს იკატუნებენ და ყველაფერს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ეს ბრძოლა წაგებული ჰქონდეთ. გამოშრობას რომ თავი დააღწიოს, რუხი, მტვრიანი ავშანი ზეთიან ჯავშანს იცვამს, ცხოველები კი გლუვ, უხეშ ტყავს და შესაფერის ჩონჩხს ივითარებენ. ყველაზე მოხერხებულმა მწერებმა გაგრილების საკუთარი სისტემაც კი გამოიმუშავეს. ცხოველები, რომლებიც სასმელ წყალს საჭიროებენ, ღებულობენ მას სხვა წყაროდან.

ცხოველების (ორფეხების, ოთხფეხების, ექვსფეხების, რვაფეხებისა და მრავალფეხების) ძებნა უდაბნოში დღისით, თითქმის ამაოა, მაგრამ საკმარისია მზე ჩავიდეს, რომ სიცოცხლე მთელი ძალით იღვიძებს. გამოდიან დევნილები და მდევნელები, მდევნელთა მდევნელები და, ბუნების ეკოლოგიური პირამიდის რთული მექანიზმი სრულ მოქმედებას იწყებს.

და აი, ამ გარემოში, სადაც მხოლოდ გავარვარებული მიწა და ცაა, რუხი, დამსკდარი მიწა და მოლურჯო უღრუბლო ცა, ღამით ნამდვილი სასწაულები ხდება.

საქართველო თავისი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით ფრიად გამორჩეული კუთხეა. ტროპიკულის გამოკლებით აქ მინიატურაში დედამიწის ყველა ზონას ვხვდებით. მათ შორის, აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ ნაწილში წარმოდგენილია ნახევარუდაბნოები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ტიპური უდაბნოები ბუნებრივად არ არის, რესპუბლიკის უკიდურეს აღმოსავლეთში, საგარეჯოს, გარდაბნის, წითელწყაროს, მარნეულის რაიონებში ნახევარუდაბნოები გამდიდრებულია უდაბნოებისათვის ფრიად დამახასიათებელი არა ერთი და ორი სახეობის მცენარითა და ცხოველით. შირაქსა და ელდარში, დავით გარეჯსა და მარნეულის გავაკებებზე ვხვდებით შუა აზიის დაბლობის (თურანის) უდაბნოებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებსა და თავისებურებებს. მომდევნო წერილებში ჩვენ სწორედ მათ შესახებ გვექნება საუბარი.

ა. გეგეჭკორი.



სურათებზე: სიცოცხლე გადამწვარ მიწაზე; ბარხანები.
ავტორის ფოტო.

## დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პოლიგრაფიულ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის № 5 სტამბის დირექტორი ამხ. დავით ილიას ძე მანდარია დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფლის მეურნეობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის სექტორის გამგე ამხ. ლევან დავითის ძე შავკაციშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

## ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით: მაიაკოვსკის რაიონის ცენტრი — დაბა მაიაკოვსკი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო მაიაკოვსკის სადაბო საბჭო — მაიაკოვსკის საქალაქო საბჭოდ.

მაიაკოვსკის სადაბო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს უნარჩუნდებათ უფლებამოსილებანი მაიაკოვსკის საქალაქო საბჭოში.

წულუკიძის რაიონის გუბის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი გოჩა ჯიხაიში და შეიქმნა გოჩა ჯიხაიშის სასოფლო საბჭო, რომლის ცენტრია სოფელი გოჩა ჯიხაიში.

სოფელ გოჩა ჯიხაიშისაგან გუბის სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს უნარჩუნდებათ უფლებამოსილებანი გოჩა ჯიხაიშის სასოფლო საბჭოში.

დმანისის რაიონის ცენტრი — დაბა დმანისი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო დმანისის სადაბო საბჭო — დმანისის საქალაქო საბჭოდ.

დმანისის სადაბო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს უნარჩუნდებათ უფლებამოსილებანი დმანისის საქალაქო საბჭოში. (საქინფორმი).

## 8 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა!

# რესპუბლიკის შრომითი მაჯისცემის მხარდამხარ

**მშობლიური** კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჯანმრთელობის განმტკიცების, ყოველმხრივ განვითარებული, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანების აღზრდისა და ჩამოყალიბებისათვის. ყოველივე ამის განხორციელებაში განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, რომელთა განვითარებასაც პარტია და მთავრობა არ აკლებენ ყურადღებასა და მხარდაჭერას.

ფიზკულტურელის საკავშირო დღე ჩვენს რესპუბლიკაში წელს განსაკუთრებული, პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აღინიშნება. საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სახალხო მეურნეობის შრომითი ფრონტებზე.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენმა რესპუბლიკამ იზეიმა სახელოვანი მე-60 წლისთავი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ეს ღირსშესანიშნავი იუბილე რესპუბლიკის მოსახლეობის, მისი მშრომელების, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის გრანდიოზულ, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ზეიმად იქცა. მეტი შნო და ლაზათი შემატა საქართველოს იუბილეზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ჩამოსვლამ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა საქართველოს მიღწევებს კომუნისტურ მშენებლობაში, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

ჩვენთვის, რესპუბლიკის სპორტის მუშაკთათვის, ყველა სპორტსმენისა და მწვრთნელისათვის სამაყოა ის, რომ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციას თავისი წვლილი აქვს ამ მიღწევებში. საქართველოს საიუბილეო დღეებში რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაცია მშთ ფიზკულტურული კომპლექსის საფუძველზე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობის საუკეთესო დაყენებისათვის დაჯილდოვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით. ეს ჯილდო ჩვენს ორგანიზაციას 12 წლის წინათ ჰქონდა მიღებული. ამჯერად მისი მოპოვება განაპირობა მუშაობის სტილის და მეთოდების დახვეწამ, გაუმჯობესებამ, მომთხოვნელობის მუდმივმა ზრდამ.

ეს არის ჩვენი სპეციალისტების, სპორტსმენების, ენთუზიასტების დიდი გარჯის შედეგი. ეს არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ცდის, მეცადინეობის, ზრუნვის შედეგი.

რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვის საქმეში საქართველოს სპორტკომიტეტს დიდ მხარდაჭერასა და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, გორის, საგარეჯოს, ლანჩხუთის, კასპის, ვანის, მახარაძის, დუშეთისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების ორგანიზაციები. დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკას ჰყავს ოლიმპიური ასპარეზობის 24, მსოფლიოს 72, ევროპის 122 და საბჭოთა კავშირის 450 ჩემპიონი.

რესპუბლიკის მთელ რიგ შრომით კოლექტივებსა და სასწავლო დაწესებულებებში სათანადო ყურადღება ეთმობა მასობრივ-გამაჯანსაღებელ და ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას, სადაც ყოველთვის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე მიმდინარეობს მასობრივი სპორტული შეჯიბრებები „ოლიმპიელი ჩვენს შორის“, „იმედის სტარტები“, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე მშთ მრავალჭიდში და სხვა. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბი „ფოლადი“, გორის ბამბეულის კომბინატის სპორტკლუბი „დილა“, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის სპორტკლუბი „ივერია“, ბათუმის ხისდამმუშავებელი კომბინატის, ხაშურის საგალანტერეო ფაბრიკის, ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის, თბილისის საქვაპრობმონტაჟის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწრის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის, ხელვაჩაურის რაიონის ანგისის საბჭოთა მეურნეობის, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის 107-ე პროფტექნიკური და აბაშის 84-ე პროფტექნიკური სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივები.

საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის იუბილეს დაემთხვა და დიდი სიამაყის გრძნობა მოჰგვარა ყველას თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა დიდმა გამარჯვებამ, რითაც ჩვენმა დინამოელებმა ვაჟკაცურად დაიცვეს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება, არამედ დიდად გაზარდეს მთელი საბჭოთა ქვეყნის საფეხბურთო პრესტიჟი საერთაშორისო მასშტაბით.

მრავალი გამარჯვება აქვთ მოპოვებული ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს სხვადასხვა საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებაზე. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მაინც დავასახელებთ: მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი, თ. ყაზარაშვილი, გ. მაკასარაშვილი, ნ. დერიუგინი, მ. სალაძე, ე. გელაშვილი, ი. კაზაკოვი, ს. შალიბაშვილი, ი. გერასიმოვა, ლ. ცოტაძე, ვ. ბლაგიძე, ს. გუმბა, შ. ხაბარელი, ქ. ლოსაბერიძე და სხვა მრავალი...

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჩვენი სპორტსმენების მიერ სულ ახლახან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებები. ეს არის საქართველოს ხუთჭიდელთა ნაკრები გუნდის მიერ მოსკოვში საბჭოთა კავშირის პირველობაზე დაკავებული გუნდური პირველი ადგილი, რაც პირველი შემთხვევაა საქართველოს სპორტის ისტორიაში. ჩვენი გუნდის ლიდერმა ი. ბრიზგალოვმა პირად პირველობაშიც იმარჯვა და ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა. არანაკლებ სასიხარულოა აგრეთვე სასტენდო სროლაში ჩვენი სპორტსმენების უდიდესი გამარჯვება ევროპის ჩემპიონატში. გუნდის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონები გახდნენ ტ. ქელენტი და თ. იმნაიშვილი (ევროპის რეკორდის დამყარებით და მსოფლიოს რეკორდის განმეორებით). როგორც სპორტის მოყვარულებმა იციან, ამ ასპარეზობაში პირად პირველობაში ტ. ქელენტმა ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო თ. იმნაიშვილმა — ბრინჯაოსი. უნივერსიადის ჩემპიონები გახდნენ მოჭიდავეები თ. ყაზარაშვილი, გ. მაკასარაშვილი და მ. სალაძე.

როგორც მოგეხსენებათ, ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადა. თუ წინა სპარტაკიადაზე ჩვენმა მოსწავლეებმა 31 მედალი მოიპოვეს, ამჯერად ეს რიცხვი 20-ით გაიზარდა. მათ შორის წინათ მოპოვებული 9 ოქროს მედლის ნაცვლად მოიპოვეს 16, 12 ვერცხლის მედლის ნაცვლად — 19, 12 ბრინჯაოს მედლის ნაცვლად — 16. მაგრამ მაინც არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკის მოსწავლე სპორტსმენთა საერთო შედეგები აღნიშნულ ასპარეზობაში, რომლებმაც ორი ადგილით დაიხიეს უკან და დაიკავეს მე-10 ადგილი. აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ჩათვლაში შედის.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივ დანერგვას და განვითარებას უკანასკნელ წლებში თან სდევდა სპორტული ბაზების ქსელის გაფართოება. ამ პერიოდში რესპუბლიკას შემატა სტადიონები გეგეჭკორში, ლაგოდეხში, თეთრწყაროსა და ცხაკაიაში, ფიზკულტურელთა სახლები — ცხაკაიაში, ტყიბულში, ყვარელში, გურჯაანში, სპორტული კომპლექსები — თბილისში, რუსთავში, ბათუმში, თელავში, ორი დახურული მძლეოსნური მანეჟი — თბილისში, სპორტული დარბაზები ლესელიძეში (2), სამტრედიაში, ჩოხატაურში, ორჯონიკიძეში, გორში, ქუთაისში (2), ჩოგბურთის სასახლე — თბილისში, სამი საბაგირო გზა — ბაკურიანში და ერთი — თელავში, საცურაო აუზები — თბილისში (5), თერჯოლაში, რუსთავსა და გურჯაანში, სათხილამურო 90, 70 და 40 მეტრიანი ტრამპლინები — ბაკურიანში და სხვა მრავალი მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსი და მოედანი.

მართალია, თითქოს უხერხულია ზეიმის დროს ნაკლოვანებებზე ლაპარაკი, მაგრამ ვინაიდან მიღწეული წარმატებები არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას, მომავალ საქმიანობაში კიდევ უფრო უნდა გავამახვილოთ ყურადღება აუმოქმედებელ რეზერვებზე, არსებულ ხარვეზებსა და შეცდომებზე, რომლებიც კვლავ გვხვდება სხვადასხვა რგოლში. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში სათანადოდ არ ზრუნავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობაზე, მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებაზე, რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისათვის კანდიდატთა აღზრდაზე, საცხოვრებელ ადგილას მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობაზე. უკანასკნელი წლების განმავლობაში ახმეტის (თავმჯდომარე — ქ. გორნაკაშვილი), ზესტაფონის (კ. ბაზაძე), სამტრედიის (გ. კალაძე), ყვარლის (თ. გოგიტაშვილი), თეთრი წყაროს (ლ. ლონდარიძე), ცხაკაიას (შ. ჩიქობავა) რაიონებიდან რესპუბლიკის ნაკრები თითქმის არ იღებს შევსებას.

დღეისათვის ჩავარდნა გვაქვს ისეთ პოპულარულ სახეობებში, როგორიც სპორტული თამაშებია. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ბავშვთა კალათბურთი, რომლის წარმომადგენლებმა ძალზე სუსტად იასპარეზეს მოსწავლეთა XVI და პროფტექნიკური სასწავლებლების XVI საკავშირო სპარტაკიადებზე. იგივე შეიძლება ითქვას [illegible] ველორბოლაზე, ცურვასა და მძლეოსნობაზე. მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტსმენთა ასეთი გამოსვლა სამწუხაროდ მწვრთნელთა არაკვალიფიციური მიდგომის შედეგია, ბევრი მწვრთნელი ძველი მეთოდებით მუშაობს, ხარვეზები იყო ორგანიზაციულ მუშაობაშიც. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სპორტკომიტეტი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად მოგვიანებით შეუდგა გუნდების მომზადებას. ვფიქრობთ უახლოეს ხანში გადავხედოთ ბავშვთა შორის მუშაობის სისტემაში კადრების განლაგებას. სავარაუდოა ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ სპორტული საზოგადოებების — „ქარიშხალის“ (გ. მარაშიძე), „ლოკომოტივის“ (თ. ქობულაძე), „ვოდნიკის“ (კ. იორაშვილი), „ზენიტის“ (გ. მძელური), „დინამოს“ (თავმჯდომარის მოადგილე ვ. თელია) რესპუბლიკური საბჭოები.

მიმდინარე წელს ივნისის თვეში ჩატარებულ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკთა აქტივის კრებამ პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის პასუხად ერთხმად მიიღო გადიდებული ვალდებულებები, ახლო მომავალში ჩვენ კიდევ უფრო გავზრდით ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობას, სპორტული ოსტატობის დონესა და ჩვენი სპორტსმენების წარმატებებს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

უკვე ძალაში შევიდა ახალი ოლიმპიური ციკლი. წინ არის III საკავშირო ახალგაზრდული ასპარეზობანი, საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადა და XXIII ოლიმპიური ასპარეზობა, რაც უაღრესად დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

ფიზკულტურელის საკავშირო დღე მარტო სპორტსმენების, მწვრთნელებისა და სპორტის მუშაკების ზეიმი როდია, იგი ჩვენი ქვეყნის საერთო-სახალხო დღესასწაულია, ვინაიდან ფიზკულტურელთა მრავალმილიონიან არმიაში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ამიტომ ყველას, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს, მოსწავლე ახალგაზრდობას ვულოცავთ ძალისა და სილამაზის ამ დღესასწაულს, ხოლო ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს ვუსურვებთ, რომ ამრავლონ მიღწევები და წარმატებები ჩვენი ერისა და ქვეყნის სადიდებლად.

**დ. პერტენავა,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.



## ჯერი მაიაზეა!

**უკანასკნელ** წლებში ქართული მხატვრული ტანვარჯიშის სწრაფმა პროგრესმა და საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე აღიარებამ, ბუნებრივია, მრავალი ნიჭიერი, საინტერესო სპორტსმენი წარმოაჩინა. მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ღირსეულად დაიმკვიდრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლემ მაია ნადიბაიძემ. ამ შესანიშნავი სპორტსმენის ნებისმიერ ვარჯიშს თან ახლავს ქართულ კოლორიტზე დიდი გემოვნებით დაფუძნებული ორიგინალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერა.

ახლახან ვილნიუსში დამთავრებულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მაიამ დამსახურებულად მოიპოვა ვერცხლის ორი მედალი და ამით საერთო-გუნდურ ჩათვლაშიც (IV ადგილი) დიდი წვლილი შეიტანა.

კარგა ხანია „ოლიმპიადა-84“-ს როგორც სპეციალისტები, ისე გულშემატკივრები მაიას ოლიმპიადად მიიჩნევენ. არჩევანი ზუსტია და საფუძვლიანი. ახლა ჯერი თვით მაიაზეა!

სურათზე: მ. ნადიბაიძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

### მხატვრული ტანვარჯიში

## უნივერსიტეტელთა დამაჯერებელი გამარჯვება

**ამ დღეებში** მინსკმა უმასპინძლა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო სპარტაკიადას. აღნიშნულ ასპარეზობაში საქართველო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბებით იყო წარმოდგენილი.

დიდ წარმატებას მიაღწიეს უნივერსიტეტელებმა. ისინი თავიდანვე დაწინაურდნენ, ქულათა დიდი სხვაობით ჩამოიტოვეს მოსკოვის, ლენინგრადის, აგრეთვე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივები და პირველი ადგილიც დამსახურებულად მოიპოვეს. უნივერსიტეტის სპორტული კლუბის ღირსებას იცავდნენ მსოფლიო ჩემპიონი ირინე გაბაშვილი, ირინე ქემხუქინა, მაია ნადიბაიძე, მონიკა გუნია და ვალენტინა გონჩუკოვა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნელი სალაძე).

მრავალჭიდში გაიმარჯვა ი. გაბაშვილმა, მეორე ადგილი დაიკავა მ. ნადიბაიძემ, ხოლო მესამე — ა. კოშელევამ (ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ცალკეულ საგნებში გაბაშვილმა მოიპოვა 3 ოქროს და 1 ვერცხლის, ნადიბაიძემ — 1 ოქროს და 3 ვერცხლის მედალი.

პარალელურად მიმდინარეობდა „ქარიშხალის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატიც. აქ გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის სპორტსმენთა ნაკრებმა. II ადგილი დაიკავეს საქართველოს, III — ყაზახეთის, IV — ბელორუსიის, V — უკრაინის, VI — მოსკოვის ნაკრებმა კოლექტივებმა.

პირად ჩათვლაში კვლავ პირველი იყო ი. გაბაშვილი, ხოლო მეორე — მ. ნადიბაიძე.



# ბოლო ვერტიკალიც დალაშქრეს

**კავკასიონის** ცენტრალურ მთიან სისტემაში საბჭოთა და უცხოელმა მთამსვლელებმა ათეული წლების მანძილზე ყველა ურთულესი კედელი დაძლიეს, გარდა იმ ერთადერთი, დღემდე მიუვალი კილომეტრიანი კედლისა, რომლითაც უნდა დასრულებულიყო საერთოდ კავკასიონის კედლებზე ასვლის დიდი მატიანე!.. ეს იყო კიუკიურტლუ (სიმაღლე 4623 მ), მისი დასავლეთი კედლის ცენტრი! — ყველაზე რთული კედელი კავკასიონზე და, იქნებ, ალპების მწვერვალთა ელიტაშიც!..

...და აი, უმძიმესი 10-დღიანი იერიშის შემდეგ, 1981 წლის 21 ივლისს ქართველმა მთამსვლელებმა წარმატებით დააგვირგვინეს უნიკალური ასვლა კიუკიურტლუს უკუდაქანებულ კედელზე! — ეს ამბავი უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა!

სასიხარულო და საამაყოა, რომ კავკასიონის კედლებზე ასვლის დასაწყისიც, მისი შუა პერიოდიც და წლევანდელი მიღწევაც ქართული მთამსვლელური სკოლის სახელთან არის დაკავშირებული!..

ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძისა და გაბრიელ ხერგიანის ჯგუფების ლეგენდარული ასვლები უშბაზე — 1936 და 1937 წლები... ივანე (კაკო) მარის ტექნიკურ-კედლოვანი ტრავერსი „შხელდა-უშბა“ — 1950 წელი!... „კლდის ვეფხვის“, დიდი მიხეილ ხერგიანის ასვლა „უშბის სარკეზე“ — 1964 წელი!... და ბოლოს, კედლებზე ასვლების გვირგვინი — კიუკიურტლუ, დასავლეთი კედლის ცენტრი, საქართველოს სპორტკომიტეტის ექსპედიცია — 1981 წელი!

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმმა (თავმჯდომარე ოთარ გიგინეიშვილი) ეს საპატიო მისია დააკისრა 70-იანი წლების ქართველ მთამსვლელთა ტრიუმფული გამარჯვებების წილხვედრ „განთიადის“ გუნდს, რომლის წევრებმაც ცნობილი მთამსვლელების გივი ქართველიშვილისა და დიმიტრი შარაშენიძის ხელმძღვანელობით კავკასიონზე, ფანის მთებში, ტიან-შანზე, ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ პამირში სხვადასხვა დროს მოაწყვეს უმაღლესი, მე-6 კატეგორიის ასვლა ჩათინზე, კომაკადემიაზე, სამხრეთ უშბაზე, ბოდხონაზე, ჯიგიტზე, ევგენი აბალაკოვის, რევოლუციისა და ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის („ზუგვანდის სარკეზე“) პიკებზე.

ექსპედიციის ხელმძღვანელობამ — გივი ქართველიშვილმა (ექსპედიციის უფროსი), დიმიტრი შარაშენიძემ (გუნდის მთავარი მწვრთნელი) და რომან გიუტაშვილმა (გუნდის მწვრთნელი) უდიდესი ყურადღებით შეისწავლეს ამ პრობლემური ასვლის შესაძლებლობა. დეტალური დაზვერვის შემდეგ მოიერიშე ჯგუფი, რომელშიც უძლიერესი მთამსვლელები შევიდნენ, ასე დაკომპლექტდა: არაერთგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები, სპორტის ოსტატები ტარიელ ლუკაშვილი (ასვლის ხელმძღვანელი) და მურად ჭიჭინაძე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მთამსვლელობაში და კლდეზე ცოცვაში, სპორტის ოსტატობის კანდიდატები ირაკლი გელდიაშვილი, გამოცდილი მთამსვლელი დევი თარხნიშვილი და სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ჯემალ ქელეხსაშვილი.

ცვალებადი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, იერიში 12 ივლისს დაიწყო...

ფრაგმენტები ასვლის დღიურიდან:

„ჩუმი, უხმო გაცილება საბაზო ბანაკიდან... წინ — თავზე წამომდგარი კედელი. მოძრაობა დასაწყისშივე უმაღლეს ტექნიკას მოითხოვს. ირაკლი გელდიაშვილი მიცოცავს გადმოკიდებული კლდის ძირში და ამაგრებს დაცვის პალოებს. დახრილობა დაახლოებით 80 გრადუსია. გავლილია პირველი შავი კლდეები“...

„უარყოფითი დახრილობის კლდეები მთავრდება ლავგარდანით. დევი და ირაკლი შენაცვლებით გადიან ლავგარდანს და გლუვი კედლის დამუშავების შემდეგ ემვებიან წიბოზე კიდული ღამისთევის მოსაწყობად“...

„ნაირფერადოვანი ლავგარდანებისაგან შემდგარი კასკადისა და უკუდაქანებული კედლების დახრილობა 105-110 გრადუსია. მარტო ამ 40-მეტრიან მონაკვეთზე დამაგრდა 28 კლდის პალო და 3 „შლამბურისა“. 14 ივლისის ღამეა. ცივა. ყველა და ყველაფერი თოკებზეა დაკიდული“...

„ტარიელ ლუკაშვილი არეგულირებს ჩვენს მოძრაობას. გავდივართ „შიდა კუთხესთან“. დიდი კლდოვანი ბზარის გასწვრივ დახრილობა 100 გრადუსია. გაყინულ „ბუხრამდე“ 18-20 მეტრი გვრჩება. ძლივს ერთად მოვიყარეთ თავი. ღამის სათევს ვაწყობთ დაზვერვის დროს მონიშნულ ადგილზე. ჯემალი და მურადი მოეწყვნენ „ბუხრის“ ქვევით, ხელოვნურ ბაქნებზე“...

„თოკები, კედლის დიდი უკუდაქანების გამო (115-120 გრადუსი) თავისუფლადაა მიშვებული, ვიდრე ზურგჩანთების აქაჩვას დავიწყებდეთ. ძალიან უჭირს ბოლო კაცს, რომელიც ქვედა პალოდან თოკის გამოხსნის შემდეგ კედლიდან შორს, 10-15 მეტრზე გამოეკიდება ხოლმე ჰაერში“...

„17 ივლისი. უკუდაქანება დიუფრალის ბაქანზე წელში გამართვის საშუალებას არ იძლევა. ძალიან ცივა. დღის 2 საათამდე მზე არ გვადგება. ძლიერ გაავდრდა“...

„18 ივლისი. ცუდი ამინდია. მთელი დღე ვკიდივართ უმოძრაოდ“...

„19 ივლისი. წყალი მეორე დღეა სრულიად არა გვაქვს. კედლის დახრილობა იმდენად დიდია, რომ თოვლს არ იკარებს, მაგრამ სწორედ ეს დახრილობაა რომ გვიცავს ქვათაცვენისაგან. ქვები მუდმივად ზურგს უკან ცვივა“...

„20 ივლისი. კედლის ბოლომდე დაახლოებით 100 მეტრი რჩება. ტარიელი, ირაკლი და დევი „ამუშავებენ“ კლდეებს ყანგისფერ წიბომდე. ავედით გადმოხრილი ქიმის ძირში. ბზარის სიღრმეში ყინულს წავაწყდით. დაკიდულ პრიმუსზე ვადნობთ ყინულს და როგორც იქნა წყურვილს ვიკლავთ“...

„21 ივლისი. კვლავ ვერტიკალი. გავდივართ ქედზე მწვერვალის მიმართულებით“...

დიდი სიხარული... ქართული ალპინიზმის ისტორიაში ჩაიწერა კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი: „კიუკიურტლუ. დასავლეთი კედელი. 21 ივლისი, 1981 წელი“.

**თ. ბერიშვილი,**
საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.



**სურათებზე:** კიუკიურტლუს დასავლეთი კედლის ცენტრი. პუნქტირით მონიშნულია მარშრუტი. მის მარჯვნივ ჩანს ორ მძლავრ ძარღვად გაყოფილი ზვავი; ასვლა უკუდახრილ კედელზე.

დ. თარხნიშვილის ფოტო.

### უცხოური იუმორი — უსიტყვოდ



## ოქროც, ვერცხლიც

**დღეს** თბილისში დამთავრდება საკავშირო ჩემპიონატი აკრობატიკაში. განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამ მნიშვნელოვანი ასპარეზობისთვის კარგად მოემზადნენ თბილისელი სპორტსმენები. ბევრმა მათგანმა ფინალური შეჯიბრებისაკენ გაიკაფა გზა. საუკეთესო შედეგით (19, 72 ქულა) გავიდა ფინალში თბილისელთა ტრიო — ნანა კიკილაშვილი, მანანა მნათობიშვილი და მაია შილაკაძე.

ვაჟთა წყვილების ფინალში იასპარეზებენ თბილისელები დავით გაგოშვილი და ზურაბ ნიკოლაიშვილი.

**გუშინ საღამოს ქალთა წყვილებს შორის ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს თბილისელებმა სვეტლანა მკრტიჩიანმა და თინათინ წიქარიძემ. ვაჟთა ოთხეულებს შორის თბილისელები ჰამლეტ ხუთიძე, არტურ გაბრიელიანი, კარენ და ალბერტ არუთინიანები ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ.**

## პრეზიდენტის განცხადება

**უეფას** პრეზიდენტმა არტემიო ფრანკიმ იტალიურ ჟურნალ „გუერინ სპორტივოს“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ უნდა გადაისინჯოს ევროპის საკლუბო ტურნირების ფინალური მატჩების დანიშვნის საკითხი.

პრეზიდენტის აზრით, ფინალურმა მატჩებმა მეტი ინტერესი უნდა გამოიწვიოს. ამიტომ საჭიროა მათი გამართვის ადგილი მხოლოდ მას შემდეგ დაინიშნოს, როცა ფინალისტები გამოვლინდებიან.

ფრანკის აზრით, ფინალური მატჩების გამართვის ადგილის ასეთნაირად შერჩევის შემთხვევაში თამაშს გაცილებით მეტი მაყურებელი დაესწრება. ისინი დაინტერესებული უნდა იყვნენ ამა თუ იმ მხარის გამარჯვებით და არა უბრალოდ, გულგრილად ადევნებდნენ თვალს ბრძოლას.

## ყაბახი სატურნირო ორბიტა

**ფეხბურთი.** დღეს გაიმართება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეოთხე ტურის შვიდი მატჩი. „ჩერნომორეცი“ უმასპინძლებს „დნეპრს“, „ყუბანი“—„ყაირათს“, „ტავრია“ — „ფახთაქორს“, „არარატი“—მოსკოვის „დინამოს“, „ტორპედო“ — „ნეფთჩის“, მინსკის „დინამო“—„ზენიტს“, „სპარტაკი“ — თბილისის „დინამოს“.

**კრივი.** ცხინვალში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გამოვიდნენ ა. ცირიპიდი, გ. ასლანოვი, ა. ხიზანიშვილი, დ. უსუფიანი (ყველანი — თბილისი), გ. გოგაშვილი (რუსთავი), რ. შამოევი, ი. გოგოლაძე, ბ. მამულაშვილი, მ. თაქთაქიშვილი (ყველანი — თბილისი), ბ. გასიევი, დ. კოკოევი და ფ. ალბოროვი (ყველანი — ცხინვალი). გუნდური შეჯიბრება მოიგო თბილისის ნაკრებმა. მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს ცხინვალელებმა და რუსთაველებმა. შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომლის წევრებიც სსრ კავშირის პირად ჩემპიონატში იასპარეზებენ. საკავშირო პირველობა გაიმართება ტაშკენტში, იგი დაიწყება 29 აგვისტოს.

**წყალბურთი.** მოსკოვში მიმდინარეობს ჭაბუკთა (18 წლის ასაკის სპორტსმენთა შორის) საერთაშორისო შეჯიბრება „დრუჟბა“. ოთხი ტურის შემდეგ სსრ კავშირის პირველ ნაკრებს ქულათა მაქსიმუმი (8) აქვს და ასპარეზობას ერთპიროვნულად ლიდერობს. რუმინელებს 7 ქულა აქვთ, ბულგარელებსა და უნგრელებს — 5-5, ჩეხოსლოვაკიელებს — 3, კუბელებსა და სსრ კავშირის მეორე ნაკრებს — 2-2 ქულა.

„კომუნისტი“ — ამ შაბათ-კვირის მეგზური

## სადაც ვერ აღწევს სიცხე და ხმაური

**ზაფხულის** პაპანაქებამ თბილისელთა უმრავლესობა ქალაქგარეთ „გახიზნა“. მთაში თუ ზღვის სანაპიროზე, ტყითა თუ ბაღნარებით დამშვენებულ კურორტებზე და სოფლებში აუარებელი დამსვენებელი იკაჟებს ჯანმრთელობას.

დაცარიელდა დედაქალაქის თეატრები, საკონცერტო დარბაზები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თბილისელებს, რომლებიც ქალაქში დარჩნენ და მკლავმოუდლელად შრომობენ, გასართობი და დასასვენებელი არ ჰქონდეთ.

ახლა მშრომელთა უმეტესობა თავისუფალ დროს — შაბათსა და კვირას ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკებში, ბოტანიკურ ბაღში, თუ თბილისის ზღვაზე ატარებს, აქ, ნაძვნარსა და ფიჭვნარში, დაჩრდილულ ხეივნებში, კიდევაც გავიწყდებათ, რომ ქალაქში ხართ.

კულტურისა და დასვენების პარკებშიც დასვენების საუკეთესო პირობებია შექმნილი, მრავლად არის საბავშვო ატრაქციონი, სპორტული მოედანი, საზაფხულო ესტრადაზე გამართული კონცერტები ერთნაირად იზიდავს დიდსა და პატარას, დილიდანვე ბავშვების ჟრიამული იკლებს მიდამოს.

მაინც რა გასართობი ელის თბილისელებს დღეს და ხვალ? 8 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა, და დედაქალაქის ყველა დასვენებისა და კულტურის პარკში დიდი სახალხო სეირნობა გაიმართება. თბილისის ზღვაზე ფიზკულტურის საქალაქო და ოქტომბრის რაიონული კომიტეტები აწყობენ შეხვედრებს ცნობილ სპორტსმენებთან, გაიმართება შეჯიბრებები მინი-ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები გამართავენ კონცერტს, დამსვენებლებს თბილისის ზღვასა თუ ტბებზე გასასეირნებლად მრავალი ნავი მოემსახურება. ასეთივე შეჯიბრებები მოეწყობა სხვადასხვა სახეობის სპორტში სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში—ფუნიკულიორზე, სადაც ძირითადად კალინინის რაიონის სპორტსმენები, აგრეთვე შინდისის, ოქროყანისა და ტაბახმელის ახალგაზრდები იასპარეზებენ.

წელს ცენტრალურ პარკში დამსვენებელთა მომსახურებისათვის ბევრი სიახლეა. მთაწმინდის პლატოზე გაკეთდა სპეციალური გადმოსახედი, საბავშვო მოედანზე გაიხსნა ბავშვთა საცურაო აუზი, მუშაობა განაახლა პლანეტარიუმმა, პარკში მოსულ პატარებს მრავალ ატრაქციონთან ერთად დიდ სიამოვნებას მიანიჭებს თოჯინების სპექტაკლები. შაბათ-კვირას პარკში უკრავს სასულე ორკესტრი. ადგილობრივი რადიოკვანძი დამსვენებელთათვის გადასცემს მუსიკალურ და ლიტერატურულ პროგრამას.

ასეთივე გასართობი ელის თბილისელებს გამარჯვების პარკში, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების უძველეს პარკში, კიკვიძისა და პარტიზანების სახელობის პარკებში, ლისის ტბაზე.

ბევრი კი ამჯობინებს შაბათ-კვირას ქალაქის ხმაურს გაეცალოს და ეს ორი დასვენების დღე სამოგზაუროდ გამოიყენოს, დაათვალიეროს მშობლიური მხარე. ხამისოდ თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროში ტურისტებისათვის შემუშავებულია მრავალი საინტერესო მარშრუტი როგორც კულტურის უძველესი ძეგლების დათვალიერებისა, ისე ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების ახალი მშენებლობებისა და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილების ნახვას ითვალისწინებს.

თბილისის მეხამე მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი სამოგზაუროდ ვარძიაში გაემართება, მეორე ჯგუფი — სოხუმსა და გაგრაში. ამავე ქალაქებს დაათვალიერებენ საგარეჯოს გლდანის სამკერვალო ფაბრიკის მშრომელები. თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის თანამშრომლებმა საქართველოს სამხედრო გზა აირჩიეს. მათი მარშრუტია ორჯონიკიძე-კისლოვოდსკ - ესენტუკი. პურკომბინატის მუშები შოვსა და ნიკორწმინდას მოინახულებენ, ამავე მარშრუტით გაემგზავრნენ საიუველირო ფაბრიკის მუშებიც.

მაგრამ ბევრი ფეხით სიარულს ამჯობინებს. ასეთ მოგზაურთათვის თბილისის ტურისტულ კლუბს სპეციალური მარშრუტები აქვს შემუშავებული. ქალაქთან ახლომდებარე ძეგლების ნახვის მსურველნი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფეხით ივლიან, შორეულ მხარეებში მოგზაურობა კი ავტობუსითაც არის გათვალისწინებული და ფეხითაც. თუმცა ეს მოგზაურობანი სულ ორ დღეს გრძელდება, მაგრამ ადამიანი ამ მცირე დროშიც დიდ სიამოვნებას იღებს და ახალი ენერგიით ავსებს გახალისებული უბრუნდება სამუშაოს.

**ლ. ხუგულური.**

# სიმღერაში ნაპოვნი ბედნიერება

**სახელმწიფო** გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ მკითხველებს გააცნო ახალი სახელი ლიტერატურაში. — საქართველოს სახალხო არტისტი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ მხატვრული ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი. ეს მან, მომღერალმა, ქართული ხალხური სიმღერების საუკეთესო მცოდნემ დაწერა წიგნი „ბაბუა“. ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს ქართული ხალხური მუსიკის პატრიარქის არტემ ერქომაიშვილის შესახებ.

— ეს რა, ახალი ამპლუაა? — ვეკითხებით ჩვენ.

— არა, — გვიპასუხა მან. — სიმღერა ჩემი განუყოფელი სიყვარულია და ვერც ვუღალატებ მას. უბრალოდ, მსურდა მომეთხრო იმ ადამიანებზე, რომელთა სიცოცხლე განუყრელად არის დაკავშირებული ხალხური სასიმღერო ხელოვნების განვითარებასთან და რომელსაც ცნობილმა შემსრულებლებმა—გიგო, არტემ, ანანია, ვლადიმერ ერქომაიშვილებმა, სამუელ ჩავლეიშვილმა, ვარლამ სიმონიშვილმა, გიორგი ბაბილოძემ და სხვებმა თავისი გული და ნიჭი მოახმარეს. გურულთა სასიმღერო შემოქმედებაზე, სიმღერაზე ფანატიკურად შეყვარებულ ადამიანებზე, საბჭოთა წყობილების წლებში ხალხის კულტურის არნახულ აყვავებაზე მოგითხრობთ ჩემს მიერ დაწერილი წიგნი. იგი საფუძვლად დაედო ახალ მრავალსერიიან მხატვრულ სატელევიზიო ფილმს, რომელსაც პირობითად „შვიდკაცა“ ეწოდება.

ფილმზე მუშაობამ მოითხოვა იშვიათი ხალხური სიმღერების ძებნა. ამ მიზნით გადამღები ჯგუფი, რომელშიც მუსიკოსი ენრი ლოლაშვილიც შედიოდა, გაემგზავრა მოსკოვსა და ლენინგრადში, ეძებდა ბიბლიოთეკებსა და არქივებში, კოლექციონერებთან. ძიებამ მიგვიყვანა ლენინგრადელ ინჟინერ იური პერეპიოლკინთან — ქვეყანაში გრამფირფიტების ერთ-ერთ საუკეთესო კოლექციის მფლობელთან, მას შემორჩენია თბილისში 1914 წელს გამოცემული კატალოგი, რომელშიც აღნუსხულია რვა სიმღერა ვანო სარაჯიშვილის შესრულებით, გიგო ერქომაიშვილის, სამუელ ჩავლეიშვილის, სანდრო კავსაძისა და სხვა ჯგუფების მიერ შესრულებული სიმღერები.

ბედნიერი აღმოჩნდა ცნობილ ფოლკლორისტ ევგენი გიპიუსთან შეხვედრაც, რომელმაც 1929 წელს მსოფლიო პრაქტიკაში პირველად განახორციელა ცნობილი ქართველი მომღერლების მრავალარხიანი ჩაწერა ფონოგრაფზე. ეს უძვირფასესი კოლექცია ლენინგრადში, პუშკინის სახლში ინახება.

გიპიუსის კოლექციიდან აღდგენილია ოცდაათიოდე სიმღერა, რომლებმაც მსმენელებს გააცნო მისი გასაოცარი მშვენიერება და რთული პოლიფონია, თავისებური ჰარმონია და შემსრულებელთა უზადო ოსტატობა. წლის ბოლომდე კიდევ ასამდე სიმღერას აღადგენენ. ისინი აჟღერდება ფილმში, რომელშიც გადაიღეს 102 წლის მომღერალი ივანე ჩხაიძე, 85 წლის — ლადიკო ერქომაიშვილი, სხვა მომღერლები, რომელთა საშუალო ასაკმა 80 წელს მიაღწია. უკვე დამთავრდა მუშაობა ფილმის ორ სერიაზე.

**მ. გაბრიაძე.**

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434   უე 13992   საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20